პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 6 იანვარი № 5 (17350) ფასი 2 კაპ.

## პირადი ხუთწლედი შესრულებულია

გურჯაანის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების „საქსასკომსოფლტექნიკის" კოლექტივმა ყველა მაჩვენებლებით ვადამდე შეასრულა გეგმა და 1978 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ამ დღეებში გურჯაანელმა მექანიზატორებმა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის მოსამზადებლად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. მზადყოფნის ხაზზე ერთიმეორის მიყოლებით დგებიან ტრაქტორები, კომბაინები, გუთნები, სათესი აგრეგატები და სხვა ტექნიკა.



სურათზე: გაერთიანების მოწინავე მექანიზატორი ივანე ხუციშვილი. მან ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა პირადი ხუთწლედი.

ე. ებინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სიბეჯითე, თავდადება — ამთავითვე!

ადამიანი შრომამ შექმნა. ამ შრომაში ხედავს იგი თავის ძლიერებას და სულიერ სიმშვიდეს, ავლენს კეთილშობილურ მისწრაფებებს სამყაროს შემეცნებაში, ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვაში.

ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი დიდი მონაპოვარია შრომის უფლება. ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ამ მონაპოვარმა არნახული გაქანება მოიპოვა. განუზომელია საბჭოთა მოქალაქის შრომის უფლება, რომელიც განმტკიცებულია ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონით — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციით და რომელიც პრაქტიკულად იხვამს ხორცს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში.

დღითიდღე მატულობს ცნობები სამეურნეო, სამეცნიერო თუ სხვა სოციალურ სფეროში მიღწეული საუკეთესო შედეგების შესახებ. და ამ პატაკების მიღმა ხომ ჩვენი უბრალო მშრომელი ადამიანია, ალალმართალი კაცი თუ ქალი, მუშა თუ კოლმეურნე, ოსტატი თუ ინჟინერი, მეცნიერი თუ ექიმი, ყველა ისინი ჩვენი სოციალისტური...

[illegible]

...ბესვა ხაზი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე.

მაშ, მოდით, უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა და მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას მუხლჩაუხრელი, თავდადებული და შემოქმედებითი შრომით ვუპასუხოთ.

## დოკუმენტების კრებული

დაიბეჭდა და გამოვიდა კრებული დოკუმენტების და მასალებისა საბჭოთა კავშირში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ნურ მუჰამედ თარაკის ვიზიტის შესახებ (1978 წლის 4-7 დეკემბერი).

კრებულში მოთავსებულია ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. მ. თარაკის სიტყვები, აგრეთვე ტექსტი ხელშეკრულებისა სსრ კავშირის და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ, სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქდესი).

# ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა!

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმების ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის!

## სოფლის მეურნეობის მუშაკებო:

დამკვრელურმა წელმა, როგორც ვალმოხდილმა, ღირსეულად გადასცა ესტაფეტა ახალ, 1979 წელს, რომელმაც უნდა განაგრძოს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ ნაჩვენები კომუნისტური მშენებლობის გზით სვლა.

მეათე ხუთწლედის მეოთხე ეტაპს ჩვენი სამშობლო იწყებს მტკიცე სასტარტო მოედნიდან, რომელსაც გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი. საბჭოთა ხალხს განსაკუთრებული ძალა შემატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ხალხისადმი მილოცვის გულითადმა დამრიგებლურმა სიტყვებმა. ალაფრთოვანებენ რა მშრომელებს სახელოვანი პატრიოტული საქმეებისათვის, ისინი კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევებისათვის მოუწოდებენ.

### 1979 წელს

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1979 წელს დაგეგმილია 3087 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 1978 წლის მოსალოდნელ შესრულებას 2,9 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის დავალებას 88 მილიონი მანეთით გადააჭარბებს.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაიზრდება 11,2 პროცენტით და მიაღწევს 96 მანეთს, ხუთწლედით გათვალისწინებული 84,8 მანეთის ნაცვლად.

ყოველნაირად გაიზრდება მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, უწინარეს ყოვლისა სიმინდის მოსავლიანობა, რადგან 22,5 ცენტნერი, რასაც ჩვენ საშუალოდ ვიღებთ ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში, შეუწყნარებლად დაბალი დონეა.

მეტი ყურადღება მიექცევა მეჩაიეობასა და მეხილეობაში წარმოების გადიდების რეზერვების გამოყენებას.

რესპუბლიკაში ახლა მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციის სამწლედი (1977-1979 წლები). ეს სამუშაო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე უნდა შესრულდეს.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მეცხოველეობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკუთარი რესურსებით რესპუბლიკის მაქსიმალური უზრუნველყოფის საკითხს, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებას.

ეროზიული პროცესების განვითარების ინტენსიურობის შენელების მიზნით გეგმის პროექტი ითვალისწინებს ხევებისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწების მოტყევებას 2.600 ჰექტარზე. მინდორსაცავი ზოლები გაშენდება 290 ჰექტარზე, 755 ჰექტარ ციცაბო ფერდობებზე მოეწყობა ტერასები.

გეგმის პროექტში რეგიონების ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით დასახულია სოფლის მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარება. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზრდება 8,8 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 9,4 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 7,6 პროცენტით.

მთელი რიგი ღონისძიებანია დასახული მებოსტნეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთოვნების, თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ საქართველოს სოფლის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებები, რომ უფრო იმატოს ყურძნის, ჩაის, ხილის, ციტრუსების, მარცვლეულის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონემ და სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვამ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მზრუნველობასა და ყურადღებას ნუ მოვაკლებთ არასრულწლოვანებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში არასრულწლოვანთა მიღება-დათხოვნის დროს კანონიერების უხეში დარღვევებისა და მათთან მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი.

საწარმოში ყურადღება ეთმობა შრომის კანონმდებლობისა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვას, მათი შრომის, ყოფა-ცხოვ... წლოვანების საქმეთა კომისიასთან. მათი მიღება-დათხოვნისათვის მთელი მუშაობა დოკუმენტების ფორმალური გაფორმებით...

[illegible]

...არასრულწლოვანებთან კანონით მინიჭებული შეღავათების შესახებ, სისტემატურად არ აკონტროლებენ მათ შესრულებას, ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მოზარდთა შრომისა და ჯანმრთელობის კანონმდებლობას რესპუბლიკის ბევრ სხვა საწარმო...

[illegible]

...ხოვრებო და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის, სამედიცინო - სანი...

[illegible]




# ხალხის კანდიდატები

## გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საზეიმოდ მორთავთ თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" მეთაური საწარმოს საგრაგნილე საამქრო. საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები აქ იმისათვის შეიკრიბნენ, რომ დაესახელებინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები.

[illegible]

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. იგი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. მ. ჭუმბურიძემ.

სიტყვას ამბობს საწარმოს დირექტორი შ. ა. ქოიავა. იგი შეეხო ხუთწლედის სამი წლის მან...

[illegible]

## პარტიულ ორგანიზაციებში

### საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. („კომუნისტის" საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძე.

პლენუმმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ვ. ი. ალავიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ.. გ. ვ. კოლბინი.

### პარტიული მუშაობის კაბინეტი

ზუგდიდი (საკ. კორ.) პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის და ფართო პარტიული აქტივისათვისათვის მოაწყო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი.

კაბინეტში გამოფენილი მასალები ასახავს მსოფლიოში კომუნისტების რაოდენობას, იმას, თუ როგორ გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების რიცხვი 1917 წლიდან დღევანდლამდე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს და მათს სტრუქტურას. სპეციალური სტენდი ნათელ წარმოდგენას იძლევა როგორც კომუნისტების, ასევე პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდაზე, ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობაზე და სხვ.

ლამაზად არის გაფორმებული კუთხე, სადაც მოწყობილია ზუგდიდის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურის, გეოგრაფიული განლაგების ამსახველი მასალები. ხელს შეახებთ თუ არა სპეციალურ ღილაკებს, თქვენს წინაშე გამოჩნდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა კონკრეტული ციფრებისა და ფაქტების ჩვენებით. აქ არაფერი არ არის ზედმეტი. დიაფილმები, საორგანიზაციო ტექნიკა, თითოეული ექსპონატი, სქემა თუ დიაგრამა სრულყოფილ პასუხს იძლევა პარტიული მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე.

### ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლაში

წყალტუბო. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტთან შექმნილ ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის მეცადინეობაზე მსმენელებმა დიდი ინტერესით მოუსმინეს საბჭოთა კავშირის გმირს, კურორტზე დასასვენებლად მყოფ კ. კოკინაკს.

შემდეგ ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის მეცადინეობამ საქგუმბრინის მაღაროთსამმართველოში გადაინაცვლა. სამმართველოს პარტბიუროს მდივანი რ. ცხაკაია ახალგაზრდებს ესაუბრა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაზე.

მოეწყო აზრთა გაზიარება თემაზე — „ჩემი პარტიული დავალება". საუბარში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა კომუნისტებმა დ. თოდაძემ, დ. ბაქრაძემ, ბ. ბიბილეიშვილმა, ბ. ობოლაძემ, ჯ. სვანაძემ, ლ. სინატაშვილმა და სხვებმა.

გასვლითი სემინარული მუშაობის მონაწილეებმა დაათვალიერეს გუმბრინის საფქვავი ქარხანა, სასათბურო მეურნეობა, სპორტული კომპლექსი და სხვა ობიექტები.

ლ. კინწურაშვილი.

მშენებლობას — პარტიული მზრუნველობა!

# რატომ ჭიანურდება?!

## წყალში გადაყრილი ათასები...

ჯერ კიდევ ამ შვიდი წლის წინათ მახარაძის რაიონის ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჯაყელი სხვებთან ერთად ინდოეთში იყო იმ მიზნით, რომ შეესწავლა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების კონკრეტულად ჩაის მცენარის კლონის ვეგეტაციური წესით გამრავლების ინდოელ მეჩაიეთა გამოცდილება. მართალია, ინდოელთა გამოცდილების დასანერგად ჩვენში ადრეც მიმდინარეობდა მუშაობა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ. მხოლოდ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. დადგინდა, რომ სამამულო ჩაის მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი გზაა წინასწარ შერჩეული და შესწავლილი საუკეთესო კლონების ვეგეტაციურ გამრავლებაზე თანდათანობით გადასვლა.

სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა, მთელმა კოლექტივმა ექვსი წლის წინათ დაიწყეს ჩაის მცენარის კლონის ვეგეტაციურად გამრავლება. ინდოელ მეჩაიეთა გამოცდილებასთან ერთად გამოიყენეს აწ განსვენებული აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი სელექციური ჩაის ჯიშები.

ინსტიტუტის ძალებით საცდელად აშენდა პირველი ხელოვნური ნისლწარმომქმნელი დანადგარი — სათბურები. ინსტიტუტის ფილიალების (ზუგდიდი, ჩაქვი, სოხუმი და კოლხეთის სასოფლო-სამეურნეო სადგური) ჩათვლით ახლა 3 ჰექტარზე მიმდინარეობს კლონ „კოლხეთის" ნერგის გამოყვანა და ყოველ წელს შესაძლებლობა აქვთ დაამზადონ სულ ცოტა 3 მილიონი ნერგი. ამ ახალი ნერგით გაშენებულია 700 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, აქედან 30 ჰექტარი სადედეა.

ახალი ნერგით გაშენებულ პლანტაციიდან მიღებულმა ჩაის ფოთლის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. შარშან ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ჰექტარზე მიიღეს 17.267 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი ჯიშიდან 8,484 კილოგრამი მოჰყავთ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღებისა და დახმარების შედეგად კლონ „კოლხეთის" ვეგეტაციურად გამრავლებული ჩაის ნერგით რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად ინსტიტუტში შეიქმნა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ გათვალისწინებულ იქნა ნისლწარმომქმნელი დანადგარების მშენებლობა დაახლოებით 16 ჰექტარზე.

დაიწყო პროექტის შედგენა. ეს საქმე დაევალა საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ბათუმის ფილიალს (დირექტორი — მ. კვანტალიანი). ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოები ორ პერიოდად გაითვალისწინეს.

პირველი პერიოდი იყო ნაკვეთის მომზადება და ათვისება. სამუშაოს შესრულება დაევალა „კოლხეთმშენის" ფოთის ტრესტს. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად მარტო 1976 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ინსტიტუტს გამოუყო 975 ათასი მანეთი.

დაიწყო მუშაობა, ინსტიტუტის მთელი კოლექტივის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

წელი დამთავრდა და „კოლხეთმშენის" ფოთის ტრესტს მთელი რიგი სამუშაოები შეუსრულებელი დარჩა, ვერ აითვისა 365 ათასი მანეთი.

1977 წელს „კოლხეთმშენის" მესვეურებს ყველაფერი უნდა ეღონათ იმისათვის, რომ გამოესწორებინათ წინა წლის შეცდომები და უკეთ ემუშავათ. სინამდვილეში უუნარო ადამიანებმა სამუშაოები უფრო ჩაშალეს, შეასრულეს მხოლოდ 34 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმის 8 პროცენტს შეადგენს. არც 1978 წელს იყო სახარბიელო მდგომარეობა. დავალება შესრულებულია მხოლოდ 67,2 პროცენტით.

სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი შესრულებული სამუშაო ძალზე უხარისხო და ხელმეორედ გასაკეთებელია.

აი ფაქტები: 169 ადგილას მოაწყვეს წყალსადენის საკვანძო ჭა. წესით ჭა ისე უნდა იყოს დაცული, რომ წყალი არ შევიდეს და შიგ მოაწყონ გადამრთველი ურდულები. გაკეთდა წესის მიხედვით? არა. ჭის მოწყობისას უნდა გაეთვალისწინებინათ ნიადაგის ზედაპირის სისწორე, დაეყარათ სათანადო რაოდენობით ქვიშა და შემდეგ დაეგოთ ასფალტი. ფაქტიურად აღნიშნული სამუშაო ვერ შეასრულეს.

უხეიროდ გაკეთებულ 8 ჭაში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეათე ტრესტის (მმართველი — ლ. ყიფიანი) ჩაქვის № 15 მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი — ა. გუგუშვილი) გადამრთველი ურდულები ჩააწყო. 5 დღეც არ გასულა და წვიმის შედეგად ჭები წყლით აივსო. ახლაც დანადგარი წყალშია, იჟანგება, ფუჭდება. წყალში ჩაიყარა ათასობით მანეთი.

— ეს ამბავი ხდება ორი ძიძის ხელში. ახლა, რას აკეთებს მესამე: მახარაძის № 13 მოძრავი მექანიზებული კოლონა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნისლწარმომქმნელი დანადგარის კომპლექსის მშენებლობის საქმეში?

— 1977 წლის გეგმით უნდა შეგვესრულებინა 450 ათასი მანეთის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები. ყოველგვარი საქმიანობა დაგეგმვით იწყება, საპროექტო ორგანიზაციების მიზეზით ნახაზები დაგვიანებით მივიღეთ,— გვითხრა მეორე სამშენებლო ტრესტის მმართველმა ა. დახუნდარიძემ, რომელიც 21 რაიონს ემსახურება და 168 ობიექტს აშენებს. დეფიციტური მასალებით მომარაგება ვერც ჩვენ და ვერც დამკვეთმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო. ამის შედეგად პირველ წელსვე გეგმა ვერ შესრულდა.

მართლაც საინტერესოა, რა ქნას სამუშაოს შემსრულებელმა? მშენებლობის ყოველგვარი საქმიანობა დაგეგმვით, სათანადო პროექტით იწყება, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

ზოგჯერ შესრულებული სამუშაო უხარისხოა. მაგალითად, 1978 წელს 500 კუბური მეტრის ტევადობის წყალსაცავის ნაწილი გამოცდის დროს დაიშალა. ამან, ცხადია, სხვა სამუშაოებიც შეაფერხა. საკითხი ადგილზე სპეციალურად შეისწავლეს. დადგინდა, რომ რკინა-ბეტონის წყალსაცავის დაშლის მიზეზია არასრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია და რკინა-ბეტონის სახიდლე პანელების პროექტით გათვალისწინებული არმირების დაუცველობა.

საცავის დაშლილი კედლები აღადგინეს, დამნაშავეები სათანადოდ დაისაჯნენ. მაგრამ რა ეშველება და განა შეიძლება გამოსწორდეს ის, რომ სამ წელიწადში ნისლწარმომქმნელი დანადგარების მშენებლობისათვის გათვალისწინებული 5.976.900 მანეთიდან აუთვისებელი და შეუსრულებელია 1.260.410 მანეთის სამუშაოები.

ზოგჯერ ირღვევა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. მაგალითად, სისტემატური წნევის მუდმივი დონის შენარჩუნებისათვის გათვალისწინებული აკრწყალსაწნეო 2 ცალი აუზი დაფონტაჟდა სხვა დანიშნულების ტევადობის აუზით, რომელთა გამოყენება საჭირო წნევით შეუძლებელია.

ზოგჯერ მოიჯარადრე ორგანიზაციების ცუდი მუშაობის შედეგად მახარაძის № 13 მოძრავ მექანიზებულ კოლონას მუშაობაში ხელი ეშლება და ვერ ასრულებს პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოს. მაგალითად, „კოლხეთმშენის" ტრესტის მესამე მოძრავი მექანიზებული კოლონის (სამუშაოს მწარმოებელი — ჯ. ხელაძე) მიერ მოწყობილი ჩითილების, გამოსაყვანი კომპლექსის მშენებლობაზე არსებული ჭები მთლიანად დასილულია, ამის გამო შეუძლებელი ხდება სანტექნიკური სამუშაოების გაგრძელება.

ინსტიტუტი ზოგჯერ არაკვალიფიციურად ასრულებს დამკვეთის ფუნქციებს. მის მიერ გაცემული საპროექტო დავალება არასრულყოფილი და დაუხვეწავია, ნისლწარმომქმნელი სათბურები მშენებლობის პროცესში იყო არ მოეწონათ, და მოითხოვეს მათი გადაკეთება, ეს კი ეწინააღმდეგება სამშენებლო ნორმებს.

საინტერესოა, რა დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტი ნისლწარმომქმნელი სათბურების კომპლექსის მშენებლობას? უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, 1978 წელს პარტიის რაიონულ კომიტეტში შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი დ. დვალიშვილი ჩაუდგა სათავეში. შტაბში ძირითადად ყოველ კვირას იხილავენ ნისლწარმომქმნელი სათბურების მშენებლობის მიმდინარეობას. ისე რომ არ ყოფილიყო, ცხადია, „კოლხიდმშენის" ტრესტი 1978 წელს წინა წლებთან [illegible] შეასრულებდა 59 [illegible] მეტს, ხოლო სა[illegible] მეცამეტე და მეათე ტრესტები — ორჯერ მეტ სამუშაოებს.

ეს წინსვლაა. მაგრამ მშენებლობაში მეტი წესრიგი, დისციპლინა რომ ყოფილიყო, ცხადია სამი წლის განმავლობაში აუთვისებელი არ დარჩებოდა მილიონობით მანეთი. ინსტიტუტის მთელ კოლექტივს იმედი ჰქონდა 1978 წელს 2 ჰექტარზე მაინც დამთავრდებოდა მშენებლობა და ჩაის ნერგის მისაღებად დააკამპლექტებდა მილიონ ცალზე მეტს. დასაფესვიანებელი კალმების დასარგავად წინასწარ მომზადდა ათასობით ერთეული სათანადო ჭურჭელი და ჩაიწყო ნისლწარმომქმნელ ფარდულებში. მაგრამ იმედები არ გამართლდა.

ცხადია, ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით მახარაძეში ნისლწარმომქმნელი სათბურების მშენებლობის დამთავრებას ალბათ რამდენიმე წელი დასჭირდება. განა ამას შეიძლება შევურიგდეთ?

მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, პროექტის შემდგენლებმა, დამკვეთმა, რეგიონში შემავალი სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა რადაც უნდა დაუჯდეთ უნდა უზრუნველყონ სამამულო საქმის — ჩაის ახალი ნერგის გამოსაყვანი ნისლწარმომქმნელი სათბურების მწყობრში ჩაყენება.

შ. ჟოჟუა,
გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები.



### ხარისხის ნიშნით



ბათუმის მეციტრუსეობის კომბინატში ნაკადად მოედინება ნარინჯოვანთა მოსავალი.

კომბინატი ციტრუსოვანთა ნაყოფის წვენებს, ჯემს, პავიდლოს, მურაბასა და სხვა კონსერვებს უშვებს. საწარმოს პროდუქციის საერთო რაოდენობის 50 პროცენტს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. სეზონის განმავლობაში კომბინატი 5.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს ამუშავებს. სეზონის ბოლომდე ოქროსფერი ნაყოფიდან კიდევ 3 მილიონ ქილაზე მეტ კონსერვს გამოუშვებენ.

კომბინატის ნაკადური ხაზიდან უკვე გამოვიდა მილიონ ქილაზე მეტი ციტრუსოვანთა კონსერვი. ეს ძირითადად საპატიო ხუთკუთხედიანი წვენებია.

სურათებზე: ზემოთ — ფაბრიკატების საამქროს მოწინავე მუშა მარინე მიქანაძე ამოწმებს ციტრუსოვანთა კონსერვების ხარისხს; ციტრუსოვანთა პიურეს საცავი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გაერთიანების სიკეთე

**„საქავტოტექმომსახურების" საწარმოთა მუშაკების რესპუბლიკური აქტივის პირველი კრება**

□

სახალხო მეურნეობის თითქმის ყოველ დარგს უშუალო კავშირი აქვს ტრანსპორტთან, კერძოდ ავტოტრანსპორტთან, რომელიც ჩვენში განუხრელი აღმავლობის გზას ადგას. და მაინც მოთხოვნილება ავტოტრანსპორტზე და აქედან გამომდინარე ავტოტექმომსახურებაზე დღითი დღე იზრდება. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, მაგრამ პრობლემებიც ცოტა როდია გადასაწყვეტი.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ამ დღეებში თბილისში გამართული „საქავტოტექმომსახურების" მუშაკთა აქტივის პირველი რესპუბლიკური კრება. აქ წარმატებებთან ერთად ბევრი ითქვა ნაკლოვანებებზე. კრება საქმიან, კრიტიკულ და თვითკრიტიკულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მიღებული ღონისძიებანი კონკრეტული და მიზანსწრაფული იყო.

ავტოტექმომსახურება რესპუბლიკის ცხოვრებაში ახალი საქმე როდია. წინათ იგი საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს განეკუთვნებოდა და პარალელიზმით ხასიათდებოდა. არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს სპეციალიზებული სამმართველოს — „საქავტოტექმომსახურების" სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შესვლამ დადებითი შედეგი მოგვცა. გარდა იმისა, რომ გამსხვილდა საწარმოო ობიექტები, ამაღლდა მომსახურების კულტურა და წარმოების დონე. ის ფაქტი, რომ საქართველოს სპეციალიზებულმა სამმართველომ „საქავტოტექმომსახურებამ" საკავშირო მასშტაბით შარშანდელი მესამე კვარტალის შედეგებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა, თავისთავად მეტყველებს იმ წინგადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებიც ამ სამმართველოს მუშაობაში იგრძნობა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „საქავტოტექმომსახურების" სამმართველომ ხუთწლედის მესამე წლის დავალება ჯერ კიდევ 12 დეკემბრისათვის შეასრულა.

სპეციალიზებული სამმართველოს — „საქავტოტექმომსახურების" სამმართველოს უფროსმა ვ. ჟღენტმა თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ იგრძნობა სისტემის მუშაობაში, ილაპარაკა სამმართველოს პერსპექტივებზე, კადრებთან მუშაობაზე, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ბევრი საინტერესო საკითხი აღძრეს კამათის მონაწილეებმა. ისინი შეეხნენ ადგილებზე გაწეულ მუშაობას, მოსახლეობის ავტოტექმომსახურების გაუმჯობესებას, იმას, რომ მშრომელები მუდამ კმაყოფილი იყვნენ ავტომანქანების დროული და მაღალხარისხოვანი შეკეთებით. სიტყვით გამოვიდნენ გ. მამაცაშვილი (აფხაზეთის ასსრ საწარმოო გაერთიანება „საქავტოტექმომსახურების" დირექტორი), ვ. კაპიძე (აჭარის ასსრ გაერთიანების ზეინკალი), ზ. საური (გორის სარაიონთაშორისო სადგურის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი), ლ. დონღუზაშვილი (თბილისის ავტოსადგომების გაერთიანების მთავარი ინჟინერი), შ. ქირია (ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის დირექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი), ე. ლაზარიშვილი (ახალციხის ავტოტექმომსახურების სადგურის ზეინკალი), ვ. კობერიძე („ავტოვაზის" თბილისის ცენტრის დირექტორი), გ. გუდაძე (თბილისის საწარმოო გაერთიანების დირექტორი).

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე ზ. ველიჯანაშვილი (პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის მეორე მდივანი), გ. ფოფხაძე (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი), დ. ქოჩლაძე (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი), რ. ჩხეიძე (კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი) და ლ. ვოსკრესენსკი (საკავშირო სამრეწველო გაერთიანების „საქავტოტექმომსახურების" უფროსის მოადგილე).

აქტივის კრებაზე მიღებული იქნა სოციალისტური ვალდებულებანი და მიმართვა რესპუბლიკის ავტოტექმომსახურების ყველა მუშაკისადმი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

ვ. გაბელია.

# სიმართლის რწმენა

## ადამიანის ღირსების დასაცავად!

ოცი წელი იმუშავა თინა ზიბზიბაძემ ზესტაფონის რაიონის ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; ეს იყო მისი ცხოვრების საუკეთესო წლები. აქ გაატარა მან თითქმის მთელი ახალგაზრდობა, აქ მუშაობის პერიოდშივე გათხოვდა და დაქმარშვილდა. პირველად აქ შეიგრძნო ნათლად და ხელშესახებად თავისი პროფესიის მთელი მომხიბვლელობა, პირველად აქ განიცადა ის სიამაყე და სიხარული, რასაც ნამდვილ პედაგოგს მისკენ მიპყრობილი ცოდნისწყურვილით გაბრწყინებული თვალები ანიჭებს.

ახლა ის სოფელში ყველას კარგად იცნობდა და წრფელი გულით უყვარდა და გრძნობდა: სოფელიც, ბავშვებიც ხედავდნენ და აფასებდნენ ამას და სიყვარულს სიყვარულითვე გადაუხდიდნენ.

დიდი და განსაკუთრებული სიყვარული მაინც თავის აღსაზრდელებთან აკავშირებდა. უყვარდა არა მარტო ისინი, ვინც ამჟამად უსხდნენ მერხებს და გაკვეთილზე მასწავლებელს თვალებში შესციცინებდნენ, არამედ ისინიც, რომლებიც მომავალში უნდა მისხდომოდნენ ამავე მერხებს. ზოგი ამათგანი ჯერ ისევ აკვანში იწვა, ზოგი ჯერ დაბადებულიც არ იყო, მაგრამ ის მოთმინებით ელოდა მათ და უყვარდა ისინიც...

და შეგიძლიათ დაახლოებით მაინც წარმოიდგინოთ თინა ზიბზიბაძის მდგომარეობა, როცა ერთ მშვენიერ დღეს უბოდიშოდ და უცერემონიოდ გამოუცხადეს: ცხრაწყაროს საშუალო სკოლის მასწავლებელი აღარა ხარ, წადი, მოგვშორდი, სადაც გინდა იმუშავეო.

ეს იყო სამი წლის წინათ, 1975 წლის 24 ოქტომბერს.

მაინც რა მოხდა ასეთი? გამოცდილ პედაგოგ ქალს, კომუნისტს. რომელსაც მთელს რაიონში იცნობდნენ როგორც კარგ მასწავლებელსა და წესიერ ადამიანს, ახლა რა უნდა დაეშავებინა ისეთი, რომ ერთბაშად წყალში ჩაუყარეს. 20 წლის ღვაწლი და ერთი ხელის მოსმით მოუსპეს მთავარი სიხარული და ბედნიერება, რაც მას ცხოვრებასთან აკავშირებდა?!

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბოლო ხანს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე თინა ზიბზიბაძე ხშირად გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს სკოლის ხელმძღვანელობისა და პირადად დირექტორის შ. გუნცაძის მისამართით. დაურიდებლად, კომუნისტური პირდაპირობით ამხელდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. როცა დაინახა, რომ მის შენიშვნებსა და წინადადებებს სკოლაში ყურს არ უგდებენ, ადგა და რაიონის განათლების განყოფილებას და პარტიის რაიკომს მიმართა. მოვიდნენ, შეამოწმეს და დაადასტურეს, რომ საჩივარში მოყვანილი ფაქტები მართალი იყო. საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის ბიურომ 1975 წლის 12 თებერვალს განიხილა ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის საკითხი და სკოლის პედაგოგიური კოლექტივისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და სუსტი კონტროლისათვის, რასაც მოჰყვა სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები აღმზრდელობითს მუშაობაში, სკოლის დირექტორი შ. გუნცაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან, საყვედური გამოუცხადეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ვ. ნებიერიძეს.

რაიკომის ბიუროს ამ დადგენილებაში არის კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც თვით თინა ზიბზიბაძეს ეხება: „პედაგოგისა და კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა სკოლის დირექციისადმი დაპირისპირებასა და უპრინციპო კინკლაობაში, კომუნისტ თ. ზიბზიბაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით და მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მისი შემდგომში ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში მასწავლებლად დატოვება". ნუთუ სამართლიანი კრიტიკისათვის თ. ზიბზიბაძე ასეთ მკაცრ პარტიულ სასჯელს და პედაგოგიური კოლექტივიდან გაძევებას იმსახურებდა?

აქვე გვინდა ვკითხოთ იმათ, ვინც თ. ზიბზიბაძის შენიშვნებსა და კეთილმოსურნე კრიტიკას კინკლაობად და მისი ხასიათის ცუდ თვისებად თვლიდა: როგორ მოხდა, რომ ამ ქალმა მთელი ოცი წელიწადი წესიერად და პატიოსნად იმუშავა სკოლაში და კარგი პედაგოგის სახელიც მოიხვეჭა, მერე კი უცებ ახალ ხელმძღვანელობას აუტყდა და აუხირდა?!

ასე იმიტომ მოხდაო, განგვიმარტავენ თ. ზიბზიბაძის მოწინააღმდეგენი, რომ განაწყენებული იყო, სასწავლო ნაწილის გამგედ რომ არ დანიშნესო.

არა, ასეთი პრეტენზიები თ. ზიბზიბაძეს არავისთვის არასოდეს არ წაუყენებია. ამ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა თვით დირექტორმა შ. გუნცაძემ წარადგინა განათლების განყოფილებაში, მაგრამ არ დანიშნეს, აშკარად მიკიბულ-მოკიბული და დაუსაბუთებელი მიზეზით. ადამიანები ვართ და ეს იქნებ, მართლაც ეწყინა — „დამიწუნეს, ღირსად არ მცნეს", იქნებ გაივლო კიდეც გულში, მაგრამ ეს არაფრით არ გამოუხატავს. ეს თვით სკოლის ხელმძღვანელობას ეგონა ასე და ყოველ მის შენიშვნას განაწყენებას უდებდნენ სარჩულად: „ჰო შენ რომ სასწავლო ნაწილის გამგე ყოფილიყავი, მაშინ სხვა იყო", — ირონიულად შენიშნავდნენ ხოლმე და მის წინააღმდეგ მთელი ბრძოლაც ამ ნიადაგზე ააგეს და გააჩაღეს. ერთხელ რაღაც კონკრეტულმა გარემოებამ მოითხოვა და თავის გასამართლებლად შ. გუნცაძემ ესეც კი დაწერა: მინდოდა თ. ზიბზიბაძის გული მომეგო, დამეწყნარებინა და ამიტომ გავგზავნე განათლების განყოფილებაში მოთხოვნა მისი სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშვნის შესახებო.

ხელმძღვანელის რა უპრინციპობა და უსუსურობა, რამდენი ცინიზმი, სიცრუე, სიყალბე და არაგულწრფელობა გამოსჭვივის სკოლის დირექტორის ამ ერთ ფრაზაში!

ბოლოს ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგის თ. გუნცაძის 1975 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით ცხრაწყაროს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თინა სიმონის ასული ზიბზიბაძე გაათავისუფლეს სამუშაოდან და თან გააყოლეს მოკინკლავის, მაბეზღარის, ინტრიგანის მარკა და სახელი.

ეს თავზარდამცემი ამბავი იყო მისთვის.

უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ იმ დღესაც, ჩვეულებრივ დილაადრიან რომ წამოდგა და ჩაცმულ-დახურულმა ფანჯრიდან მოფუსფუსე ქუჩას გახედა, გული შეეკუმშა: ყველა თავის საქმეზე მიეშურებოდა — მოზრდილები სამუშაოზე მიემართებოდნენ, ჩანთებმომარჯვებული გოგო-ბიჭები — სკოლისაკენ, მას კი არსად არ მიეჩქარებოდა, ის აღარავის სჭირდება. და თუმცა შვილები და მეუღლე გვერდით ჰყავდა, ისეთ მარტოობას და მიუსაფრობას გრძნობდა იმ დღეებში, თავი უცხო პლანეტაზე ეგონა.

რტოს მოწყვეტილი ფოთოლი მთელ ხესაც სწყდება. ასევე კაციც, რომელიც მოსწყდება საზოგადოებას, სამყაროსაც მოწყვეტილია. ჩამოაშორეთ ადამიანი საყვარელ საქმეს, ჩამოაშორეთ კოლექტივს, ადამიანებს, რომლებიც მას უყვარს და თურმე მისგან აღარაფერი დარჩება უსუსური ბიოლოგიური არსების გარდა.

„ახლა მე პაწაწინა მუშა ფუტკარიც კი მჯობნის, ღალით დატვირთული სკისაკენ რომ მიეშურება", — ფიქრობდა ის ზოგჯერ იმ მძიმე დღეებში.

და მაინც მისი მთავარი საზრუნავი და საწუხარი მაინც ბავშვები, მოსწავლეები — თავისი აღსაზრდელები იყვნენ. აი, რას წერს ის იმ დროს ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილ ერთ-ერთ თავის განცხადებაში: „გთხოვთ სასწავლო წლის ბოლომდე მაინც დამტოვოთ სკოლაში. მე-10 კლასის ხელმძღვანელი ვარ და გაკვეთილებიც მაქვს იქ. ახალი მასწავლებლისათვის ძნელი იქნება ერთი მეოთხედის მანძილზე მოსწავლეთა გაცნობა და შეფასება... მე თუ რამე დავაშავე, ბავშვები რა შუაში არიან, ჩემი მიზეზით რატომ უნდა დაიჩაგრონ".

თინა მასწავლებელი დაგვიტოვეთო, ამასვე მოითხოვდნენ თვით მოსწავლეები თავიანთ კოლექტიურ განცხადებაში, რომლის გულწრფელობა საეჭვოდ გახადეს თ. ზიბზიბაძის მოწინააღმდეგეებმა, რითაც საჩოთირო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი და მოსწავლეებიც მათი ასაკისათვის შეუფერებელი მეტად ცუდი, შთამბეჭდავი ფაქტის მოწმე გახადეს.

რა მძიმე მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდეს ადამიანი, თუ გონიერება ყოფნის მას, ვიდრე სხვას მიადგებოდეს, უწინარეს ყოვლისა თავის თავს უნდა მოჰკითხოს ამის მიზეზი და მისი გამოსწორების ძალა და ღონეც თავის თავში უნდა ეძებოს. და თინა ზიბზიბაძეც მზად იყო შეგუებოდა თავის ბედს, ოღონდ დაეჯერებინა, დაერწმუნებინა ვინმეს, რომ თვითონ იყო ყველაფერში დამნაშავე, რომ ღირსი იყო დასჯისა და კოლექტივიდან გაძევებისა და რომ ახლა მონანიების მეტი არა დარჩენოდა რა. ამას არავინ ეუბნებოდა და თვითონაც ამის ვერავითარ საბუთს ვერ პოულობდა... კოლექტივი კოლექტივია, მაგრამ ყველაზე მეტად მოსწავლეებთან გამოთხოვება უმძიმდა, გრძნობდა ისევ ისე უყვარდა მათ. ამ სიყვარულს მისკენ ცნობისმოყვარეობით და უსიტყვო თანაგრძნობით მიპყრობილ თვალებშიც კარგად კითხულობდა.

უკანასკნელ გაკვეთილზე, როცა გამოეთხოვა თავის მოსწავლეებს და გამოუცხადა, ამიერიდან თქვენი მასწავლებელი აღარ ვიქნებიო, მან კარგად დაინახა ბევრი მათგანის თვალში აბრწყინებული ცრემლი.

და ახლა ყველაზე მეტად ეს უმანკო თვალები, ეს ცრემლები ეუბნებოდა მას სიმართლეს და კვლავ მშობლიური სკოლისაკენ უხმობდა და ეძახდა. მარტო ამ ცრემლებისათვის ღირდა ებრძოლა და დაემტკიცებინა სიმართლე!

და მან ჯერ სახალხო სასამართლოს მიმართა, სარჩელი შეიტანა და სამუშაოზე აღდგენა ითხოვა, როგორც უკანონოდ განთავისუფლებულმა.

სასამართლომ უარი უპასუხა. ამის შემდეგ თ. ზიბზიბაძეს არ დაუტოვებია არც ერთი ინსტანცია, რომლისთვისაც ამ სამი წლის განმავლობაში განცხადებით და საჩივრით არ მიემართოს. განცხადებებს გზავნიდა ზემდგომ ორგანოებში: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, რესპუბლიკის პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოში, საკავშირო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში. მაგრამ მისი საჩივრების შემმოწმებელთა შორის არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი, რომელიც შეძლებდა გულისხმიერად მოჰკიდებოდა და ღრმად ჩაეხედა საქმეში და თავის პროფესიისა და სკოლისათვის ამ თავდადებულ ქალს გამოქომაგებოდა. პირიქით, ყველა მას ამტყუნებდა. მაგალითად, „სახალხო განათლებამ", რომელიც მასწავლებლის ნამდვილი ქომაგი და დამცველი უნდა იყოს, 1976 წლის 21 ივლისის გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაში თ. ზიბზიბაძის საზიანოდ დაამახინჯა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პასუხი მისი საჩივრის გამო.

ყოველივე ამის შედეგად თინა ზიბზიბაძეს კიდევ უფრო გაუტყდა სახელი რაიონში, იგი ინტრიგანად და მჯღაბნელად მონათლეს.

ამასობაში სკოლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიიდანაც გარიცხა იგი იმ მიზეზით, რომ ვითომ ჩამოშორდა პარტიულ ორგანიზაციას — არ ესწრებოდა პარტიულ კრებებს, არ იხდიდა საწევროს, სინამდვილეში ასე არ ყოფილა. პარტიულ კრებებს ვერ დაესწრებოდა, რადგან არ ატყობინებდნენ, თვითონ კი შინ იჯდა უმუშევარი და ზესტაფონში როგორ უნდა გაეგო, რა ხდებოდა ცხრაწყაროში, რომელიც 5-6 კილომეტრით არის დაშორებული რაიონულ ცენტრს! რაც შეეხება პარტიის საწევროს, იგი მას სისტემატურად შეჰქონდა შემნახველ სალაროში: თავის ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეებშიც მან შეინარჩუნა პარტიული პასუხისმგებლობისა და პარტიული დისციპლინის გრძნობა!

ყველაფერი ეს კარგად იცოდა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. მახათაძემ, მაგრამ დაუმალა ეს კრებას, კომუნისტებს, რათა დაერწმუნებინა ისინი, რომ თ. ზიბზიბაძე პარტიის რიგებში ყოფნის ღირსი არ იყო.

აი, როგორი ხელმძღვანელი ჰყავდა სკოლის პედაგოგიური კოლექტივის კომუნისტებს!

პარტიიდანაც გარიცხეს, თავისივე პარტიულმა ამხანაგებმაც კი გაიმეტეს და გაწირეს. ჩანს, აღარც იმათ სჯეროდათ მისი. სხვა რაღა დარჩა! ხომ არ ჩაიქნიოს ყველაფერზე ხელი და ოჯახს მიხედოს? არა, პირიქით ახლა უფრო საჭირო დაუმტკიცოს ყველას თავისი სიმართლე! მაგრამ როგორ, რა გზით? და ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყო, ვის არ მიმართა, პირადადაც და განცხადებითაც, არავინ გულისყურით არ მოუსმინა, გულთან არ მიიტანა მისი ტკივილი. მეტი რაღა შეეძლო? და აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მძიმე ვითარებაში მან გასაოცარი ბრძოლისუნარიანობა, სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინა. თავის უდანაშაულობაში დაჯერებულს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს რწმენა, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა.

ბოლოს საქმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე მივიდა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამონახა დრო და საშუალება ერთი რიგითი კომუნისტის პერსონალური საკითხი საფუძვლიანი მსჯელობის საგნად გაეხადა და რასაც სხვადასხვა ინსტანციაში სამი წლის მანძილზე ვერ გაართვეს თავი და ვერ გაარკვიეს, რამდენიმე საათში მოეფინა ნათელი.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ობიექტური, ნამდვილი პარტიული და პრინციპული შეფასება მისცა კომუნისტ თ. ზიბზიბაძის ბედისადმი დამოკიდებულების ფაქტს და აღნიშნა, რომ სკოლის დირექციამ, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებამ, პარტიის რაიკომის ცალკეულმა მუშაკებმა გამოიჩინეს ტენდენციურობა, მისწრაფება თავიდან მოეშორებინათ იგი.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ზესტაფონის რაიკომის და პირადად მისი პირველი მდივნის ბ. მერკვილაძის ყურადღება მიაქცია იმას, რომ რაიკომში ვერ გაერკვნენ სკოლაში შექმნილ რთულ ვითარებაში, გულგრილი დამოკიდებულება გამოავლინეს კომუნისტ თ. ზიბზიბაძის ბედისადმი, საჭირო პრინციპულობა ვერ გამოიჩინეს მისი პერსონალური საქმის განხილვის დროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააუქმა ცხრაწყაროს საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის 1978 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება თ. ზიბზიბაძის სკკპ რიგებიდან გარიცხვის შესახებ, აგრეთვე პარტიის ზესტაფონის რაიკომის 1975 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება თ. ზიბზიბაძისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადებისა და მისი სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ, დაუსაბუთებლად ჩათვალა მისი სამუშაოდან დათხოვნა და მოითხოვა კანონის შესაბამისად მისი სამუშაოზე აღდგენა განაცდური ანაზღაურებით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა შესაბამის ორგანოებს განიხილონ საკითხი იმ პირებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც თ. ზიბზიბაძის განცხადებების განხილვისას ზერელობა, ბიუროკრატობა, უსულგულობა გამოიჩინეს.

დიახ, სამართლიანობამ, სიმართლის რწმენამ გაიმარჯვა და თინა ზიბზიბაძეს საშუალება მიეცა პირნათელი წარმდგარიყო თავისი კოლექტივის, თავისი მოსწავლეების წინაშე.

ერთი რიგითი მასწავლებლის თავს გადამხდარი ეს ამბავი მწარე, სამახსოვრო გაკვეთილი უნდა იყოს ყველა სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის. თუ ფართოდ და ღრმად შევხედავთ და ჩავუკვირდებით მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ მარტო ერთი ადამიანის ბედის გადაწყვეტას კი არა, საქმე ეხება მთელი პედაგოგიური კოლექტივის ღირსებას, რომელზეც დამოკიდებულია მოსწავლეების, ჩვენი მომავალი თაობის ბედი.

როგორ გგონიათ, იმ აურ-ზაურმა და ორომტრიალმა ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში მთელი სამი წლის განმავლობაში რომ სუფევდა, ყველაზე მეტად ვინ დაზარალა? რაღა თქმა უნდა მოსწავლეები, დიახ უფრო მეტად სწორედ ისინი დაზარალდნენ, ვიდრე თვით თ. ზიბზიბაძე.

მოზარდები მეტად მიხვედრილნი და მგრძნობიარენი არიან, მათ ყოველთვის გაცილებით იმაზე მეტი იციან, ვიდრე ჩვენ, უფროსებს გვგონია. და, ვინ იცის რა მძიმე და წარუშლელი დაღი დააჩნია მათ ფაქიზ სულს პედკოლექტივის წევრებს შორის გაუთავებელმა დავამ და არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ!

ეს კი იმის გამო მოხდა, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რაც უწინარეს ყოვლისა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია. როგორც საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე იყო ნათქვამი „ძლიერი დირექტორი პრაქტიკულად ძლიერ კოლექტივს ნიშნავს, ხოლო იქ, სადაც ჩვენ ძლიერი დირექტორი არ გვყავს, კოლექტივიც კოჭლობს, კოლექტივს უჭირს". სწორედ ამ კოჭლობის და გაჭირვების ბრალი იყო, რომ ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, პრინციპულობა რომ გამოეჩინა და გვერდში ამოდგომოდა ამხანაგს, გამოსარჩლებოდა მას. მაშინ იქნებ საქმე აქამდეც არ მისულიყო!

როგორც რედაქციაში შემოსული სიგნალები მოწმობენ, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქის თუ სოფლის ბევრ სხვა სკოლაშიც არ არის წესრიგი. პედკოლექტივებს აკლიათ ერთსულოვნება, მინდობილი საქმისადმი სიყვარული და ერთგულება.

ყოველ მასწავლებელს, პედაგოგიური კოლექტივის ყოველ წევრს, კარგად უნდა ახსოვდეს საქართველოს მასწავლებელთა ამავე IV ყრილობაზე წარმოთქმული ეს შთამბეჭდავი სიტყვები: „**მასწავლებელი საოცრად გვაგონებს მოქანდაკეს, რომელიც გარკვეული მასალისაგან ცოცხალ ქმნილებას აქანდაკებს**".

ის, ვის ღვაწლსაც ასე მაღალ შეფასებას აძლევენ, ვისაც ასე დიდი და საპასუხისმგებლო საქმე ავალია, თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს პირადი ინტერესები თავის აღსაზრდელების ინტერესებზე მაღლა დააყენოს, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცხრაწყაროს საშუალო სკოლაში მომხდარი ფაქტის მსგავსი არსად არასოდეს განმეორდება.

მ. მიქაძე,
ო. ნიქაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყამირს" თურქეთში კითხულობენ

ანკარა, 5 იანვარი. (საქდესი). ანკარის პროგრესულმა გამომცემლობა სერმა თურქულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირი".

გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლია. იგი მთელ ძალ-ღონეს ახმარს მშვიდობის ლენინური პროგრამის განხორციელებას. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ამრავლებენ რევოლუციის გამოცდილებას ახალ ისტორიულ პირობებში, აღწევენ დიდ წარმატებებს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ყამირის გატეხვის პერიოდში გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებები.

ლ. ი. ბრეჟნევის ახალმა წიგნმა თურქ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

# დემოკრატიული ძალების პროტესტი

## ესპანეთის პროგრესული საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს

მადრიდი, 5 იანვარი. (საქდესი). ესპანეთის პროგრესული საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს ახალ პოლიტიკურ მკვლელობას, რომელიც გუშინ ჩაიდინეს ექსტრემისტებმა. მათი მორიგი მსხვერპლი გახდა მადრიდის სამხედრო გუბერნატორი დივიზიის გენერალი ორტინ ხილი.

ეს აქცია, აღნიშნულია ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის განცხადებაში, მიზნად ისახავს პროვოკაციულად ჩარიონ შეიარაღებული ძალები პოლიტიკურ ცხოვრებაში, უკუღმა შემოაბრუნონ დემოკრატიზაციის პროცესი, შექმნან ქვეყანაში ქაოსისა და ურწმუნობის ვითარება. ესპანეთის კომპარტიის აღმასკომმა აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცონ მთელი პროგრესული ძალების ერთიანობა იმისათვის, რომ წინააღუდგნენ როგორც ულტრამემარჯვენე, ისე ულტრამემარცხენე ექსტრემისტების ხრიკებს.

ტერორიზმის საშიშროება, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენის პროცესის დაგვირგვინებას, დაგმეს ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, დემოკრატიული ცენტრის მმართველმა კავშირმა და სხვა პარტიებმა.

ამ ბოლო დროს ექსტრემისტების მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქციების წინააღმდეგ პროტესტით გამოვიდნენ აგრეთვე დემოკრატიული პროფკავშირები. მუშათა კომისიებმა და მშრომელთა საყოველთაო კავშირმა მოუწოდეს ესპანეთის მუშებს და მოსამსახურეებს მოაწყონ დღეს ხანმოკლე საყოველთაო გაფიცვა დემოკრატიზაციის პროცესის მხარდასაჭერად, რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ.

შექმნილი ვითარების განხილვას მიეძღვნა მთავრობის თავმჯდომარის ა. სუარესის საგანგებო თათბირი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან, აგრეთვე შეიარაღებული ძალების სახეობათა შტაბების უფროსთა საბჭოს სხდომა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მარტინ ვილიამ, რომელიც გამოვიდა ეროვნული ტელევიზიით, აღიარა, რომ ესპანეთში შეიქმნა რთული ვითარება. მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა ხმარობს ყველა ღონისძიებას თავდასხმის ორგანიზატორთა გამოსავლინებლად.

## გადადგა ა. ჰეიგი

ბრიუსელი. 5 იანვარი (საქდესი). ნატოს ევროპის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი ა. ჰეიგი გადადგა თავის პოსტიდან.

კასტოში (ქალაქ მონსის ახლოს) პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ა. ჰეიგმა განაცხადა, რომ გადადგომის შესახებ თხოვნა გადასცა ნატოს გენერალურ მდივანს ი. ლუნსსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს.

ჰეიგის გადადგომა ძალაში უნდა შევიდეს 1979 წლის 30 ივნისიდან.

# პატრიოტები უტევენ

ჰანოი, 4 იანვარი. (საქდესი). კამპუჩიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები განაგრძობენ მძლავრ შეტევას პოლ პოტ-იენგ სარის ხროვის რეაქციული ჯარების წინააღმდეგ. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 3 იანვარს დილით პატრიოტებმა იერიში მიიტანეს ქალაქ სტინგ-ტრაენგზე — ამავე სახელწოდების პროვინციის ცენტრზე, რომელიც 209 კილომეტრზე მდებარეობს პნომპენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გადალახეს რა პნომპენის ჯარების წინააღმდეგობა, იმავე დღეს რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა გაათავისუფლეს ქალაქი, ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო საჭურველი და საომარი მასალა. ამ პროვინციის ბევრი რაიონის მოსახლეობა აღსდგა პნომპენის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ.

## განაჩენი მაფიის მეთაურებს

რომი, 5 იანვარი. (საქდესი). სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა იტალიის ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიის სასამართლომ მაფიის მეთაურთა ჯგუფს; ერთ-ერთმა უდიდესმა პროცესმა დანაშაულებრივი სინდიკატის ხელმძღვანელთა საქმეზე რამდენიმე თვეს გასტანა.

სასამართლო განხილვის მსვლელობაში დადგენილ იქნა მათი მონაწილეობა მრავალ მკვლელობაში, ადამიანთა მოტაცებაში, ყალთაბანდობასა და შანტაჟში კალაბრიის ოლქში. მარტო უკანასკნელი 7 წლის მანძილზე რეჯოდი-კალაბრიის პროვინციაში მაფიის ბანდიტებმა 300-ზე მეტი მკვლელობა ჩაიდინეს.

სასამართლოს მრავალი დოკუმენტი მოწმობს, რომ მაფიამ ღრმად გაიდგა ფესვები იტალიის სამხრეთი რაიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. დადგენილია, კერძოდ, რომ ბოროტმოქმედნი პრაქტიკულად თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ მრავალი ინდუსტრიული ობიექტის, აგრეთვე ავტოსტრადებისა და ნავსადგურების მშენებლობას კალაბრიაში.

ჩვენი კალენდარი

# გამოჩენილი მეცნიერი

## ირაკლი გვერდწითლის დაბადების მე-60 წლისთავის გამო



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელს მე-60 წელი შეუსრულდა.

პირველი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიც ი. გვერდწითელმა მიიღო მონაწილეობა, ეხებოდა კოსმოსური სხივების თვისებების შესწავლას. იგი სხვა ახალგაზრდა ქართველ ფიზიკოსებთან ერთად 1942-1946 წლებში მივლინებული იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ი. ალიხანიანის მიერ არაგაცის მთაზე მოწყობილ ექსპედიციაში. უნდა ითქვას, რომ კოსმოსური სხივების კვლევას იმ დროის საქართველოში უკვე ჰქონდა გარკვეული ტრადიციები თბილისში და ყაზბეგის მთაზე 30-იანი წლების ბოლოს ბ. ყიზილბაშის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევების სახით. ამ ტრადიციებზე შემდგომში ქართველი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორების მთელი პლეადა აღიზარდა, მაგრამ ი. გვერდწითელს სულ მალე მოუხდა თავისი მეცნიერული კვლევის გეზი სრულიად სხვა მხრივ მიემართა.

1946 წელს ი. გვერდწითელმა მუშაობა დაიწყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მოგვიანებით იგი იმავე ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა.

1956 წლიდან ი. გვერდწითლის ხელმძღვანელობით ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში იწყება ფართო მეცნიერული გამოკვლევები, დაკავშირებული სტაბილური იზოტოპების განცალების ახალი მეთოდების, გაზური ხელსაწყოებისა და აპარატურის შესაქმნელად, იზოტოპურ სისტემათა ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესასწავლად. ამ გამოკვლევებში ფართო გამოყენება მოიპოვა უდიდესმა გამოცდილებამ, რომელიც ი. გვერდწითელმა შეიძინა საბჭოთა ქვეყნის მოწინავე ცენტრებში, გამოჩენილი მეცნიერების გვერდით მუშაობის მანძილზე.

იმ დროისათვის უკვე მკაფიოდ გამოისახა ის დიდი უპირატესობა, რომელიც მეცნიერების, ტექნიკის და სახალხო მეურნეობის უმრავლეს დარგებში სტაბილური იზოტოპების გამოყენებას ექნებოდა. მსუბუქი ელემენტების იზოტოპების განცალების ეფექტური მეთოდების შექმნის მიზნით, გამოკვლეულ იქნა ჩვეულებრივი და გაცვლითი დისტილაციის, ქიმიურ იზოტოპურ გაცვლათა, ორთქლის ნაკადის საწინააღმდეგო დიფუზიის და სხვა პროცესები. ამ გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მაღალეფექტური განცალებითი ელემენტის-მოდულის შექმნას, რომელსაც მაქსიმალური ხვედრითი მწარმოებლობა ექნებოდა. პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა განცალებითი და მას-დიფუზიური მაღალი მწარმოებლობის ტუმბოები, რომელთა საშუალებითაც მიღებულ იქნა მსუბუქი და საშუალო მასის მქონე იზოტოპების განცალების კოეფიციენტის იმ დროისათვის უმაღლესი მნიშვნელობა. ამ სამუშაოთა შედეგებმა სოხუმის ინსტიტუტი ჩააყენა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეცნიერული ცენტრების რიგში. ისინი საფუძვლად დაედო აგრეთვე თბილისში სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნას, რაც წარმატებით განხორციელდა 1963 წელს ი. გვერდწითლის ხელმძღვანელობით.

ამ სამუშაოთა შედეგები და მეცნიერული დასკვნები საფუძვლად დაედო ი. გვერდწითლის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1961 წელს.

ზემოთ აღნიშნულ სამუშაოთა პარალელურად პროფესორ ი. გ. გვერდწითლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ახალი ნახევარგამტარული მასალების მიღების კვლევითი სამუშაოები. მიღებული შედეგები შემდგომში დასაბამს აძლევენ ელექტრული ენერგიის მიღების სრულიად ახალი დარგის განვითარებას. აქ მხედველობაში გვაქვს სითბური ენერგიის ელექტრულ ენერგიად პირდაპირი გარდაქმნა, რასაც საფუძვლად უდევს ნახევარგამტარებში სითბური ეფექტის მოვლენა.

პროფესორი ი. გვერდწითელი მსოფლიოში პირველი რეაქტორ-გარდამქმნელის „რომაშკას" ერთ-ერთი შემქმნელია.

1969 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ი. გვერდწითელი გადაიყვანეს პოდოლსკის სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად. აქაც, ახალ სამუშაოზე, მან წარმატებით განაგრძო სოხუმში დაწყებული მეცნიერული სამუშაოები. მეტად ნაყოფიერია პროფესორ ი. გვერდწითლის მეცნიერული მოღვაწეობა. იგი 300-მდე მეცნიერული შრომისა და გამოგონების ავტორია. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მეცნიერების მრავალი კანდიდატი და დოქტორი.

პროფესორ ი. გვერდწითლის დიდი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ღირსეულად არის შეფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. იგი დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, ხალხთა მეგობრობის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მრავალი მედლით. 1974 წელს მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე მისი ორგანიზაციული მოღვაწეობის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის ყველა დარგი, კიდევ მეტად გამოვლინდა მისი მეცნიერული მიზანსწრაფვა და ორგანიზატორული ნიჭი.

მრავალფეროვანია პროფესორ ი. გვერდწითლის მოღვაწეობა პარტიულ-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ასპარეზზეც. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, სკკპ პოდოლსკის საქალაქო კომიტეტის წევრი, ხოლო ამჟამად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ამასთან ერთად პროფესორი ი. გვერდწითელი არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი პრობლემური და სამეცნიერო საბჭოების წევრი და ხელმძღვანელი. იგი დიდ საზოგადო და მეცნიერულ მოღვაწეობას ნაყოფიერად უთავსებს ერთმანეთს და ჩვეული ენერგიით და გულისხმიერებით აღზრდის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას კეთილშობილური საქმეს. დღეს იგი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის გაფურჩქვნისა და აღმავლობის პერიოდშია.

**გ. ხუციშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

**ჯ. ლომინაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**რ. სალუქვაძე,**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# დიდი ინტერესით

ბალტიმორი, 5 იანვარი. (საქდესის კორ.). აქ უდიდეს საგამოფენო დარბაზში „სივიკ სენტერში" გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა ქალი". მთავარი ექსპონატი — ფოტოსურათები, წიგნები, ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოები, დიაპოზიტივები, ხელმარჯვეთა ნაწარმოებები — მოგვითხრობენ საბჭოთა ქალების ცხოვრებაზე, მათ მუშაობასა და მისწრაფებებზე, უდიდეს წვლილზე სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში.

საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს დირექტორის მოადგილემ ზ. ხოლცმანმა, რომელიც გამოვიდა გამოფენის გახსნაზე, იმედი გამოთქვა, რომ იგი საშუალებას მისცემს ამერიკელებს უკეთ გაეცნონ საბჭოთა ქალების ცხოვრებას და ხელს შეუწყობს საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა გამოფენა ნახევარ წელიწადს დარჩება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ხნის განმავლობაში, გარდა ბალტიმორისა, იგი გაიმართება ჩიკაგოში, ოკლახომა-სიტიში, სიეტლში.

საქდესი

# ყოველი მხრიდან

5 იანვარი

## სტიქია მძვინვარებს

ვაშინგტონი. ქარბუქი და სუსხიანი ქარები, რომლებიც მძვინვარებდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ რაიონებში, გავრცელდა აღმოსავლეთ და სამხრეთ შტატებზე. მათ გამოიწვიეს სერიოზული დარღვევები მოსახლეობის ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში. ნიუ-იორკის მეტ წილ რაიონებში თოვლის საფარი 40 სანტიმეტრს შეადგენს, რასაც მოჰყვა მრავალი სკოლის დახურვა. ქარბუქის გამო ნორმალურად ვერ მუშაობს ჩიკაგოს საერთაშორისო აეროპორტი. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში არაჩვეულებრივად დაბალი ტემპერატურაა — 20 გრადუსი ყინვა, ამავე დროს ქარის სიჩქარე საათში 50 კილომეტრს აღწევს.

რადგან ასეთ ამინდში ფრენა შეუძლებელია, 1000-ზე მეტი კაცი შეგროვდა დენვერის აეროპორტში. დალასის 75 ათას სახლში კვლავ მოშლილია წყალმომარაგება.

გახშირდა სიკვდილის შემთხვევები გზებზე ავარიებისა და ყინვის შედეგად.

## გაიზარდა ფასები

პარიზი. პირველი იანვრიდან საფრანგეთში გადიდდა ბენზინისა და სხვა სახეობის საწვავის ფასები, მოიმატა ბინის ქირამ, წყლისა და გაზის ღირებულებამ, გაძვირდა საავიაციო ბილეთები.

ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება სოციალური დაზღვევის ახალი წესის შესახებ, რომელიც შეიცავს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიდან ანარიცხების გადიდებას სულ 11 მილიარდი ფრანკის ოდენობით.

# ირანი იბრძვის

□ ირანის ქალაქებში კვლავ გრძელდება მასობრივი გამოსვლები □ გენერლები შეშფოთებულნი არიან □ მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალება □ ამერიკის შეერთებული შტატები „ძალის დემონსტრაციის" საშუალებით გავლენას ახდენს ირანის ამბებზე.

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საქდესი). დღეს, ისევე როგორც წინა დღეებში, თეირანსა და ირანის სხვა ქალაქებში გრძელდებოდა მასობრივი გამოსვლები ირანის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მთავრობის საწინააღმდეგო მღელვარებამ მოიცვა პრაქტიკულად ქვეყნის მთელი ტერიტორია. დემონსტრაციების ცენტრები გახდნენ ქალაქები იეზდი, შაბესტარი, მარაგე, ხაშტრუდი, თავრიზი, ზაჰედანი და მეშხედი.

ყაზვინში დახოცეს ასზე მეტი კაცი, როცა ჯარისკაცებმა ტანკებიდან ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს, სახლების ფანჯრებსა და აივნებს.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, რომ ბევრ ქალაქში რეჟიმის მოწინააღმდეგენი ქმნიან „სახალხო სასამართლოებს", რომლებსაც განაჩენი გამოაქვთ საიდუმლო პოლიცია სავაკის აგენტებისა და იმ პირებისათვის, ვინც მხეცურად უსწორდებოდა მოქალაქეებს, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ხელისუფალთა მოქმედებას.

როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, დღეს თეირანში ჯარებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, რათა ხელი შეეშალათ ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ლიდერის სანჯაბის დაგეგმილი გამოსვლისათვის, რომელმაც დაგმო ფრონტის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი ბახტიარი იმისათვის, რომ იგი დათანხმდა შეადგინოს შაჰის თხოვნით გარდამავალი სამოქალაქო მთავრობა.

„ბახტიარი, — წერს ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი", — რამდენადაც ვიცით, სარგებლობს აგრეთვე ამერიკის ზოგიერთი წრეების მხარდაჭერით, რომლებმაც შაჰი დაარწმუნეს დასტური მიეცა მისი ღონისძიებებისათვის, მაგრამ ეროვნულ ფრონტს, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამტკიცოს, რომ მის მხარდაუჭერად ვერავინ ვერ უხელმძღვანელებს ქვეყანას.

აშკარად იმ მიზნით, რომ აემაღლებინა თავისი მომავალი კაბინეტის პოლიტიკური აქციები, ბახტიარმა კვლავ განაცხადა ტელეინტერვიუში, რომ შაჰმა მასთან საუბარში გამოთქვა „სურვილი გაემგზავროს საზღვარგარეთ დასასვენებლად და დანიშნოს რეგენტთა საბჭო", რომელიც განაგებს ქვეყნის საქმეებს მისი არყოფნის დროს. მაგრამ შაჰის სასახლის წარმომადგენლებმა კვლავ უარყვეს ეს მტკიცება.

ამავე დროს, როგორც გაზეთი „ლოს ანჯელეს ტაიმსი" აღნიშნავს, „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ საკითხში შეცვალა თავისი პოზიცია და ახლა არწმუნებს ირანის შაჰს, რომ მან თუნდაც დროებით დატოვოს თავისი მღელვარებით მოცული ქვეყანა, სანამ ჩამოყალიბდებოდეს სამოქალაქო მთავრობა და ბოლო მოეღებოდეს ამ მღელვარებას".

უცხოეთის სააგენტოების ირანელი კორესპონდენტები წერენ, რომ შაჰის წასვლა ირანიდან ხელს არ აძლევს არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობას. გენერლები შეშფოთებული არიან იმით, რომ „შაჰის წასვლა, — როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, — შეარყევს დისციპლინას არმიაში, განსაკუთრებით დაბალ ეშელონებში, და შეასუსტებს სამხედროების მზადყოფნას განაგრძონ დემონსტრანტებისადმი წინააღმდეგობა. ისინი აგრეთვე შიშობენ, რომ დაკარგავენ სამხედრო ბიუჯეტისადმი კონტროლს". გაზეთი წერს, რომ ირანის შეიარაღებული ძალების სარდლებმა შაჰთან შეხვედრისას ამის გამო გამოთქვეს „ღრმა შეშფოთება".

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატები თავს უყრის სამხედრო-საზღვაო ძალებს ირანის სანაპიროსთან და აშკარად ცდილობს „ძალის დემონსტრაციის" საშუალებით ზეგავლენა მოახდინოს ამ ქვეყნის ამბებზე. პენტაგონის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სპარსეთის ყურეში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საზღვაო შენაერთი, რომელიც სამი ხომალდისაგან შედგება.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰ. კარტერმა დაადასტურა, რომ ამჟამად ფართო მასშტაბით მიმდინარეობს როგორც ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის და მათი ოჯახის წევრების, ისე დიპლომატიურ მუშაკთა ოჯახის წევრების ევაკუაცია ირანიდან. ამისათვის იყენებენ მთელი რიგი საავიაციო კომპანიების სარეისო თვითმფრინავებს, აგრეთვე მრავალადგილიან სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავებს.

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საქდესი). ქვეყანაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები ირანში არ ნელდება. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს ჯარებმა კვლავ არაერთხელ დაუშინეს ცეცხლი დემონსტრანტებს თეირანის ჩრდილოეთ რაიონებსა და მეშჰადში. თავდაცვის მიზნით დემონსტრანტები აგებდნენ ბარიკადებს, აჩაღებდნენ კოცონებს ქუჩებში, რათა დაებრკოლებინათ სამხედრო ავტომანქანების მოძრაობა.

თეირანის აეროპორტი, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, დღეს კვლავ დახურული იყო, მას შემდეგ, რაც სამხედროებმა იკისრეს ფრენის მართვის გაფიცულ მუშაკთა ფუნქციები, მაგრამ შემდეგ დატოვეს აეროპორტის შენობა. სამოქალაქო აეროპორტები არ მუშაობს სხვა ქალაქებშიც.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ოპოზიციურმა ეროვნულმა ფრონტმა დღეს მოუწოდა ყველა ირანელს მთელ ქვეყანაში აღინიშნონ 7 იანვარი, როგორც იმათი მოსახსენებელი დღე, ვინც განვლილ კვირაში დაიღუპა ჯარისკაცთა და პოლიციელთა ტყვიით და ტანკებმა გასრისა.

ლოზუნგები, რომლებითაც აჭრელებულია კედლები და ღობეები თეირანის ყველა ქუჩაზე, გმობენ შაჰის რეჟიმთან შეთანხმებლობას. შ. ბახტიარის ვილას გაძლიერებით იცავენ ჯარები და პოლიცია. თეირანის რადიო იუწყება, რომ შაჰმა დღეს ოფიციალურად დანიშნა ბახტიარი ახალ პრემიერ-მინისტრად.

ბაჰარის ქუჩაზე თეირანის ცენტრალურ რაიონში სახლი ნომერი 173 გარშემორტყმულია თავით-ფეხამდე შეიარაღებული ჯარისკაცებით. ორი დღის წინათ აქ თეირანელებმა დაარბიეს ავადმოსახსენებელი ირანის საიდუმლო პოლიციის სავაკის შტაბ-ბინა. ამ სახლის სარდაფებში, რომელსაც გვერდით მდებარე შენობებთან ერთად თითქმის მთელი უბანი უკავია, მრავალ წელს იყო საიდუმლო პოლიციის საგამოძიებლო საპატიმრო.

ვაშინგტონი, 4 იანვარი. (საქდესი). თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯ. პაუელმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე კვლავ დაადასტურა, რომ ირანის შაჰის მხარდაჭერის ამერიკულ პოლიტიკაში ცვლილებები არ მომხდარა.

მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი ჯ. კარტერი „პრაქტიკულად ყოველდღე გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული, პირადად მუშაობს ირანში შექმნილი მდგომარეობის საკითხებზე". ამ პროცესში, როგორც მან თქვა, ჩაბმული არიან აგრეთვე მთავრობის ორგანოები და უწყებები ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩათვლით.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ინიციატივით შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი სახელმწიფო მდივნის თანაშემწის გ. სონდერსის მეთაურობით, რომელიც შეუდგება ირანში შაჰის რეჟიმის დამხობის შესაძლო შედეგების ანალიზს.

პარიზი, 4 იანვარი. (საქდესი). გაზეთ „მონდის" თეირანელი კორესპონდენტი იმოწმებს შაჰის კართან დაახლოებულ წრეებს და წერს: „არმიამ შაჰს აცნობა, რომ იგი გამოვა ყოველგვარი ფორმულის წინაშე, რომელიც გულისხმობს მის გამგზავრებას საზღვარგარეთ. სამი გვარეობის ჯარების სარდლები ცდილობენ დაარწმუნონ შაჰი, რომ მისი წასვლა გამოუვალ მდგომარეობას შეცვლის და გამოიწვევს გაუთვალისწინებელ გართულებებს, რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვება შაჰის რეჟიმისათვის".

ფურცლის ავტორები წერენ, რომ გენერლების ჯგუფს განზრახული აქვს სამხედრო გადატრიალება და რომ ამ ჯგუფში შედიან სახმელეთო ჯარების სარდალი და თეირანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური გენერალი ოვეისი, ირანის სამხედრო მრეწველობის ორგანიზაციის დირექტორი გენერალი ტუფანიანი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის სარდალი გენერალი ყარაბაღი, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსად დღეს დანიშნული შაჰის გვარდიის სარდალი ტადრიი, შაჰის სასახლის დაცვის უფროსი გენერალი ჰაშემი — ნეჟადი, საზღვაო-სამხედრო ძალების სარდალი კორპუსის გენერალი რაბიი და არმიის ავიაციის სარდალი გენერალი ხოსროიდადი.

დასავლეთის კორესპონდენტთა უკანასკნელ დეპეშებში ნათქვამია, რომ გენერალი ოვეისი დღეს გადადგა და შაჰის ნებართვით ირანი დატოვა. მასთან ერთად გადადგნენ აგრეთვე გენერალი ხოსროიდადი და კორპუსის გენერალი რაბიი.

# ახალი აგრით

ლუსაკა, 5 იანვარი. (საქდესის კორ.). ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტი უარყოფს როდეზიის ახალი „კონსტიტუციის" პროექტს, რომელიც გამოაქვეყნდა სოლსბერიში, როგორც მორიგ ცდას სამუდამოდ დაამკვიდრონ თეთრკანიანი უმცირესობის ძალაუფლება, განუცხადა საქდესის კორესპონდენტს აფრიკელი ხალხის კავშირის ზიმბაბვეს წარმომადგენელმა, რომელიც პატრიოტულ ფრონტში შედის, უ. მუზარურვამ. ეს პროექტი ლოგიკური გაგრძელებაა სამარცხვინო შეთანხმებისა რასისტებსა და აფრიკელ მარიონეტებს შორის „შინაური მოწესრიგების" შესახებ.

როგორც „კონსტიტუციის" დებულებანი მოწმობენ, იგი მიზნად ისახავს რასისტთა ძალაუფლების განმტკიცებას, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას. მაგალითად, „პარლამენტში" თეთრკანიანი უმცირესობის წარმომადგენლებისათვის გათვალისწინებულია ვეტოს უფლება. მათი თანხმობის გარეშე არ შეიძლება მიიღონ არც ერთი კანონპროექტი. ისევე, როგორც წინათ, რასისტები სრული ბატონპატრონი რჩებიან ეკონომიკაში, მათ ხელთ იქნება განუსაზღვრელი კონტროლი არმიის, პოლიციის, სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ.

ერთადერთი სიახლე, რაც გათვალისწინებულია „კონსტიტუციის" ავტორების მიერ, ეს არის მომავალი „დამოუკიდებელი" სახელმწიფოს სახელწოდება, რომელსაც მათ სურთ უწოდონ „ზიმბაბვე-როდეზია". მაგრამ ჩვენი ხალხი, თქვა მ. მუზარურვამ, არასოდეს არ დათანხმდება, რომ მისი სამშობლოს სახელწოდებაში თუნდაც რაიმე მოაგონებდეს ძველ რასისტულ წესებს, რომლებიც დაკავშირებულია ინგლისელი დამპყრობლისა და კოლონიზატორის როდსის სახელთან.



ზიმბაბვეს პატრიოტთა ბრძოლის გააქტიურების შიშით სმიტის რეჟიმის რასისტები ზრდიან არმიის, პოლიციის, „უშიშროების ძალების" პირადი შემადგენლობის რიცხვს. ქალებსაც კი აიარაღებენ და ასწავლიან ადამიანების მოსპობას. „ახალწვეულთა" ასაკი 17-დან 50 წლამდეა.

სურათზე: ასე ამზადებენ როდეზიის არმიის ქალთა ქვეგანაყოფების ჯარისკაცებს.

კამერა პრეს-საქდესის ფოტო.

# ყალბი საბაბი

## ვიეტნამის პრესა ამხილებს

ჰანოი, 5 იანვარი. (საქდესი). უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ჩინეთის ხელისუფალთა ცალმხრივი წესით გადაკეტეს მგზავრები და არ გადააქვთ ტვირთი საერთაშორისო რკინიგზის ხაზით, რომლითაც ვიეტნამი და ჩინეთი არიან დაკავშირებული. როგორც ჩინეთის მხარემ განაცხადა, ამის მიზეზი ის არის, რომ „ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარე რკინიგზის სასაზღვრო უბანი სერიოზულად დაზიანდა და საშიშია შემადგენლობათა ტარებისათვის". ეს მხოლოდ ყალბი საბაბია იმისათვის, რომ მიჩქმალონ ჩინეთის მტრული ანტივიეტნამური პოლიტიკა, წერს გაზეთი „კუან დოი ნიან ზანი".

ჩინეთის მხარის მოქმედება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩინეთი პრეტენზიას აცხადებს ვიეტნამის ტერიტორიაზე მდებარე რკინიგზის უბანზე, ნათქვამია კომენტარში. სავსებით ნათელია, რომ, როცა ცალმხრივი წესით ჩინეთის მხარემ შეწყვიტა ტვირთზიდვა, ეს იმ შავბნელი ზრახვების ნაწილია, რომლებიც მიმართულია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მომენტში, როცა ჩინეთის ხელისუფალნი დიდ სამხედრო ძალებს, დიდძალ იარაღსა და სამხედრო აღჭურვილობას გზავნიან ვიეტნამის საზღვართან, აწყობენ პროვოკაციებს სასაზღვრო რაიონებში.

ვიეტნამელი ხალხი, ხაზს უსვამს გაზეთი, არც ერთ მეზობელ სხვის მიწას არ ხელყოფს, მაგრამ ამავე დროს არავის არ მისცემს ნებას ხელყონ მისი ტერიტორია. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუვალია. ჩინეთის მოთხოვნები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე რკინიგზის უბნის მიმართ აბსოლუტურად მიუღებელია.

ჩინეთის მმართველი წრეები ცდილობენ შექმნან სიძნელეები ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, მაგრამ მეგობართა დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით ვიეტნამელი ხალხი დაძლევს ყველა განსაცდელს. ჩინეთის მხარეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა თავისი მოქმედების შედეგებისათვის, დაასკვნის „კუან დოი ნიან ზანი".

# იმპერიალიზმისა და რეაქციის ხელშემწყობნი

## ამერიკელ კომუნისტთა წერილი ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობისადმი

□

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობას გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც გადაჭრით გმობს პეკინის შეთანხმებას იმპერიალისტურ ძალებთან, მის ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური თანამეგობრობისა და ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ, პეკინის ლიდერთა ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, მათ მოწოდებებს ომისათვის.

ჩინეთის მმართველთა პირის შეკვრა იმპერიალიზმთან, ნათქვამია წერილში, გამოვლინდა უკვე მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 60-იანი წლების დამდეგს აგრესიული აქციები განახორციელა კუბის წინააღმდეგ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სოციალისტური სახელმწიფოს ლიდერები მხარს დაუჭერდნენ იმპერიალისტურ აგრესიას, აღნიშნულია დოკუმენტში. მაგრამ მოხდა სწორედ ეს. პეკინის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მხარდაჭერა განსაკუთრებული გულახდილობით გამოვლინდა ჩილეში ფაშისტური გადატრიალების დროს, რომელიც მოაწყო და რომელსაც მეთაურობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამერიკის შეერთებული შტატების გიგანტური მრავალეროვანი კორპორაციებისა და ჩილეს რეაქციული ფაშისტური ელემენტების ალიანსი. ამერიკის იმპერიალიზმი წარუმატებლად ცდილობდა ძირი გამოეთხარა ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფრონტისათვის, და პეკინმა დახმარების ხელი გაუწოდა მას, ცნო პინოჩეტის ხროვა და ყოველნაირად შეუწყო ხელი ჩილელი ხალხის ჯალათებს.

არანაკლებ დამახასიათებელია, ნათქვამია დოკუმენტში, პეკინის ხელმძღვანელობის პოზიცია ანგოლის მიმართ. როცა ანგოლელმა ხალხმა მიაღწია განთავისუფლებას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და პეკინის ხელმძღვანელობამ გააერთიანეს თავიანთი ძალები, რათა შეიარაღებული გზით დაემხოთ კანონიერი მთავრობა. ჩინეთი დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმთან ერთად გამოდის, ცდილობს უკუღმა დააბრუნოს რევოლუციური პროცესი აფრიკაში.

ჩინეთი ჰეგემონისტურ, აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს ვიეტნამის მიმართ, არსებითად იმპერიალიზმის ადგილი დაიკავა შეთქმულებაში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელია არ იწვევდეს მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის აღშფოთებას, მათ შორის იმ ამერიკელებისაც, რომლებიც გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად.

თქვენ თავს ესხმით და ცილს სწამებთ ორი სოციალისტური ქვეყნის — ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხელშეკრულებას, თვითონ კი იაპონიასთან დადეთ ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის, ვიეტნამისა და ლაოსის წინააღმდეგ.

პეკინის ლიდერებმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონცეფციები შეცვალეს იმპერიალიზმის მხარდაჭერისა და მასთან თანამშრომლობის კონცეფციებით, პროპაგანდას უწევენ წარმოუდგენელ, გიჟურ იდეას იმის შესახებ, რომ თითოეულ თაობას „უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი ომი". ჩინეთის ხელმძღვანელობა გამოდის როგორც ომის პრინციპული მომხრე.

პეკინის ომისგამჩაღებლური განცხადებანი ხელს უწყობენ იმპერიალიზმს. სწორედ ამით აიხსნება ვაშინგტონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება დააჩქაროს ჩინეთისათვის სამხედრო ტექნოლოგიის მიწოდება, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს აგრესიული საომარი მიზნებისათვის. ვაშინგტონში აქეზებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ჩინეთისათვის სამხედრო დახმარების გადიდებას.

ჩვენი პარტია, ნათქვამია წერილში, მუდამ მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციას. მაგრამ ჩვენ პატიოსნად არ მოვიქცეოდით, შეშფოთება რომ არ გამოგვეთქვა იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ხდება თქვენ მიერ ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკის მხარდაჭერის კონტექსტით. თქვენ გახდით მსოფლიო იმპერიალიზმის ყველაზე აქტიური და წამყვანი ძალა, მხარს უჭერთ ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს ცდებს შეაჩერონ სოციალიზმის მშენებლობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმ იმედით, რომ მიიღებთ მათ ლოცვა-კურთხევას აზიის ქვეყნებზე კონტროლის განხორციელების საქმეში.

ამავე დროს, აღნიშნულია წერილში, ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ, ის რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს არაერთხელ უჩვენებიათ თავიანთი მზადყოფნა და სურვილი მოლაპარაკების გზით მიეღწიათ შეთანხმება ჩინეთთან ყველა საკითხში. ამერიკელი კომუნისტები ჩინეთის ხელმძღვანელობას ბრალს სდებენ, რომ იგი უმადურობას იჩენს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ, რომლებიც დახმარებას უწევდნენ და მხარს უჭერდნენ ჩინელ კომუნისტებს როგორც ჩინეთის რევოლუციის პერიოდში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი პოლიტიკა — ეს არის სოციალიზმის იდეალების ღალატისა და იმპერიალიზმისადმი სამსახურის პოლიტიკა. თქვენ ყოველ ღონეს ხმარობთ, რათა დაქსაქსოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი და მსოფლიო სოციალიზმი, კომუნისტები და რევოლუციური ძალები. მხოლოდ ისტორია მთელი ობიექტურობით მთლიანად აღნუსხავს მაოიზმის ამ დანაშაულობებს, ხაზგასმულია წერილში.

თბილისი — ლენინგრადი

# მეგობრობენ უნივერსიტეტები

ლენინგრადისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს არაერთი ათეული წლის მეგობრობა აქვთ. ამ მეგობრობის სათავეები უნდა ვეძიოთ შორეულ წლებში, როცა მეცნიერებისა და კულტურის ამ საქვეყნოდ აღიარებული ცენტრისკენ გაეშურა ცოდნას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა. სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტთა პლეადიდან გამოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის ბევრი დამაარსებელი, ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეები. მაგრამ მარტო ცოდნას როდი აძლევდა თავის ქართველ აღსაზრდელებს ლენინგრადის უნივერსიტეტი. იგი ასწავლიდა მათ შეძენილი სულიერი საუნჯე გამოეყენებინათ ხალხის საკეთილდღეოდ, მისი განათლებისა და განთავისუფლების საქმისათვის. პროგრესულმა იდეებმა, რომლებმაც გააფართოვა, გაამდიდრა მათი მსოფლმხედველობა, მრწამსი და მთელ მათს შემდგომ მოღვაწეობას თანამიმდევრული დემოკრატიული ორიენტაცია მიანიჭა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამუდამოდ აქცია ისინი სამართლიანობისა და თავისუფლების ქომაგებად, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროგრესის დამცველებად.

სრულიად ახლებურად წარიმართა ლენინგრადისა და თბილისის უნივერსიტეტების მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. იგი გახდა გეგმაზომიერი, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული პროცესი, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და მოიცავს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა რგოლსა და სფეროს. დღითიდღე ფართოვდება ერთობლივი მეცნიერული კვლევა. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები ხშირი სტუმრები, უფრო ზუსტად, მასპინძლები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში, სადაც კითხულობენ ლექციებს მეცნიერების უახლეს დარგებში. დღითიდღე ფართოვდება აგრეთვე კულტურული კავშირურთიერთობა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

ეს და სხვა მრავალი კონტაქტები ყველაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონეზე, ქართველ მეცნიერთა მეცნიერული კვლევა-ძიების ხარისხზე.

სულ ახლახან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-60 წლისთავის ზეიმის დღეებში, უნივერსიტეტებმა გადაწყვიტეს გააფართოონ და გააღრმაონ საქმიანი და მეგობრული კონტაქტები და ამიტომ ხელი მოაწერეს შესაბამის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ახალი ეტაპია ჩვენს თანამშრომლობაში, ახალ ერთობლივ ღონისძიებებს სახავს მეცნიერებისა და განათლების მორიგი მწვერვალების დაუფლებისათვის.

და ამ დარგში ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურების აღიარების სიმბოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიდგა სამახსოვრო დაფა: „ლენინგრადის უნივერსიტეტს ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის მადლიერი თბილისის უნივერსიტეტისაგან".

ამ დღეებში მომმე უნივერსიტეტიდან ბარათი გამოგზავნა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ბ. ალესკოვსკიმ. მოგვყავს ეს წერილი მთლიანად:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

ლენინგრადის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო დიდი და გულწრფელი მადლიერების გრძნობით გაეცნო მომმე თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მეგობრულ მიმართვას და თქვენს გულთბილ მისასალმებელ წერილს, რომლებმაც ზამთრის ამ დღეს საქართველოს სტუმართმოყვრული მზის თბილი სხივებით გააცისკროვნა ნევისპირა პეტრეს დარბაზის ძველებური თაღები.

ძნელია სიტყვით გამოხატო სიამაყის, ძმური პატივისცემის, გულწრფელი მეგობრობის ის გრძნობა, რომელიც გვაკავშირებს თბილისის უნივერსიტეტთან, ქართველი ხალხის მეცნიერების, კულტურისა და განათლების უდიდეს ცენტრთან.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს თბილისისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების კათედრებისა და ფაკულტეტების ფართო და მრავალმხრივი თანამშრომლობა, რომელიც ზრდის ჩვენი უნივერსიტეტების წვლილს დიადი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური, მეცნიერული და სულიერი პოტენციალის განვითარებაში.

დიდად გაგვახარა სამახსოვრო დაფის დადგმამ ლენინგრადის უნივერსიტეტის პატივსაცემად, რაც ჩვენდამი თბილისის უნივერსიტეტის ღრმა და გულწრფელი მეგობრობის გამოვლინებაა.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ წარმატებებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდასა და მომზადებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. ბ. ალესკოვსკი,
ლენინგრადის უნივერსიტეტის რექტორი."

რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც დიდად დააფასა ლენინგრადის უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისა და მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარების საქმეში, დააჯილდოვა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დაე იზრდებოდეს და ჰყვაოდებოდეს, სულ ახალ-ახალი შინაარსით მდიდრდებოდეს ჩვენი უნივერსიტეტების მეგობრობა და თანამშრომლობა. იგი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ერთ-ერთი რეალური, მკაფიო დადასტურებაა.

**ამირან მგელაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე.

## კ. ა. სოხაძე



76 წლისა გარდაიცვალა სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის მონაწილე, სკკპ წევრი 1920 წლიდან, გადამდგარი პოლკოვნიკი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე სოხაძე.

ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, 17 წლისა, როცა კ. სოხაძე იარაღით ხელში იბრძოდა მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1921-1922 წლებში მუშაობდა რაჭის მაზრის ს. ცახის რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1922 წ. პარტიული მობილიზაციით გაიგზავნა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, 1931 წ. — ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და დაინიშნა ქართული მე-6 მსროლელი ლეგიონის კომისრად.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე კ. სოხაძე მოქმედ არმიაშია. მონაწილეობს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში, ჩრდილოეთ კავკასიის, ყუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაში, შემდეგ კი უკრაინის, დასავლეთ უკრაინის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მაღალმა პარტიულმა პრინციპულობამ, ვაჟკაცობამ, თავმდაბლობამ, გულითადობამ მას დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა თანამებრძოლთა შორის.

თადარიგში გასვლის შემდეგ, წლების მანძილზე კ. ა. სოხაძე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზოგადოება „ცოდნაში" ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა კ. სოხაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ოთხი წითელი დროშის, 1-ლი და მე-2 ხარისხის სამამულო ორდენებითა და მრავალი მედლით.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, შესანიშნავი მოქალაქე, რომლის ცხოვრება კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ერთგულების შესანიშნავი მაგალითია.

**ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველო; რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი; ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია; საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური საბჭოს გამგეობა.**

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### პირველი პროგრამით

### 8 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „კუჩხი ბედინერი" (ფერადი), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაწანწალა რასმუსი" პრემიერა I სერია (მოსკოვიდან), 19.00 — ხუთწლედი — წელი მეოთხე (მოსკოვიდან), 19.45 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.15 — ბალეტის საღამო (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავთო ვარაზი" (პრემიერა, ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული კალეიდოსკოპი (ფერადი).

### 9 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 09.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის" (ფერადი), 17.00—აბიტურიენტთათვის —ქართული ენა (ფერადი), 17.30— განცხადებები (ფერადი), 17.35 — კინონარკვევი. 17.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაწანწალა რასმუსი". პრემიერა მე-2 სერია (მოსკოვიდან), 19.00 — უმაღლესი საბჭოს არჩევნები, 19.30 — „გლობუსი" — გამეორებით (ფერადი), 20.30 — დოკუმენტური ფილმი „ხუთი დღე და ერთი დილა" (ქართულ ენაზე). (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული მუსიკის სიახლენი. უკრავს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „ადამიანი იქითა მხრიდან" (ფერადი).

### 10 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დილა მშვიდობისა" (ფერადი), 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტაიმირზე დაბრუნება" (ფერადი), 17.50 — ბავშვებისათვის — საცირკო სანახაობა, 18.35 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 19.00 — საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი — გადაცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 19.45— დოკუმენტური ფილმი — „შავი ლაქების ოქრო" — (ქართულ ენაზე) (ფერადი, 20.05 — საერთაშორისო დღიური, 20.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 ვერნისაჟი, 22.00 — „ვრემია" — — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული მიმოხილვა, 23.05 — „მღერის გიული ჩოხელი" (ფერადი).

### 11 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ანგარაზე" (ფერადი), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — უმცროსკლასელთათვის— ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.00 — ბავშვებისათვის „ცერცეტა" — ახალციხის ბავშვთა დრამატული წრის სპექტაკლი (ფერადი), 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „პიკი და პაკი" (ფერადი), 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მოსკოვიდან), 19.30 — ბუნების კარი (ფერადი), 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.45 — საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები — (გადმოცემა ზაპოროჟიედან), 22.00— „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები — (გადმოცემა ზაპოროჟიედან).

### 12 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. (ფერადი), 17.30 — განცხადებები. (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი" — (ფერადი), 18.35 — მოსწავლეთათვის — „მეგობრობის მერიდიანზე" (ფერადი), 19.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „საახალწლო საჩუქარი", 19.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „მადლობელი ვარ სვანეთის", 20.30 — საესტრადო პანორამა. (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (ვიდეოჩანაწერი).

### 13 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — ბურატინოს გამოფენა (მოსკოვიდან), 10.35 — თქვენთვის, მშობლებო (მოსკოვიდან), 11.05 — აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (მოსკოვიდან), 11.35 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფერადი), 12.05 — „დილის ფოსტა"— მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 12.35 — მუსიკალური შეხვედრები (გამეორებით) (ფერადი), 13.25 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.10 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 15.05 — მეგობრობის კონცერტი (ფერადი), 16.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.10 — ცეროდენას ეკრანი (ფერადი), 17.30 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები" — ვასილ კიკვიძე, 18.00 — ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში (მოსკოვიდან), 19.00 — დოკუმენტური ფილმი „წყნარი ამერიკელები" — პრემიერა (მოსკოვიდან), 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჟულიეტა მეზობლად ცხოვრობს" პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „პოეზიის საღამო" — ე. ევტუშენკო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში.

### 14 იანვარი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა", 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფერადი), 10.30 — — მაღვიძარა (მოსკოვიდან), 11.00 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 11.30 — კინოაფიშა, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან" — მხატვრული ფილმი „სალთან მეფის ზღაპარი" (მოსკოვიდან), 13.30 — მუსიკალური დადგმა „ზამთრის ფანტაზია" — გამეორებით (ფერადი), 14.30 — მუსიკალური კიოსკი (მოსკოვიდან), 15.00 — ხუთწლედი — წელი მეოთხე, 15.45 — სამეჯლისო განწყობილება (ფერადი), 16.15 — კინოს მოყვარულთათვის, 17.30 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 18.00 — კინომოგზაურობის კლუბი (მოსკოვიდან), 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30 — სიცილის გარშემო" — იუმორის საღამო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, 22.00 „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული თეატრის დღე.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ქარუმიძე.

1979 წელი — ბავშვთა წელი

## მშვენიერების აღქმა



ბავშვთა შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარება, მათი მხატვრული აზროვნების გამდიდრება, მხატვრული ნაწარმოებების აღქმის კულტურის გამომუშავება — ასეთი ამოცანა დაისახეს საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის ხატვისა და ფერწერის წრის პედაგოგებმა.

**სურათებზე:** საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის ხატვისა და ფერწერის წრეში; სტუმრად საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარ კობა გურულთან.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## საფეხბურთო სეზონი-79

**როგორ ჩატარდება სსრ კავშირის 1979 წლის ჩემპიონატი და თასის გათამაშება**

ფეხბურთელთა 1979 წლის ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს 18 გუნდი, ხოლო პირველ ლიგაში — 24. ამის შესახებ საქდესის კორესპონდენტს უთხრეს საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში.

უმაღლესი ლიგის ორწრიან ტურნირში იასპარეზებენ: თბილისის „დინამო", კიევის „დინამო", დონეცკის „შახტიორი", მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", ცსკა, ოდესის „ჩერნომორეცი", მოსკოვის „ტორპედო", ვოროშილოვგრადის „ზარია", ლენინგრადის „ზენიტი", ტაშკენტის „პახტაკორი", ალმა-ატის „კაირატი", ბაქოს „ნეფტჩი", ერევნის „არარატი", მოსკოვის „ლოკომოტივი", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", როსტოვის სკა და მინსკის „დინამო". უკანასკნელ ორ ადგილზე გასული გუნდი გადავა პირველ ლიგაში.

როგორც შარშან, ახლაც უმაღლეს ლიგაში ძალაში რჩება „ფრეთა ლიმიტი". გუნდებს პირველი რვა ფრისათვის უწინდებურად თითო ქულა მიენიჭებათ, მეცხრე და შემდგომი ფრეებისათვის კი არც ერთი ქულა არ დაეწერებათ.

პირველ ლიგაში, სადაც ტურნირი ასევე ორ წრედ ჩატარდება, იასპარეზებენ: დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ლვოვის „კარპატი", გროზნოს „თერგი", კრასნოდარის „კუბანი", ვილნიუსის „ჟალგირისი", სიმფეროპოლის „ტავრია", ქუთაისის „ტორპედო", კიშინიოვის „ნისტრუ", ოდესის სკა, იაროსლავლის „შინიკი", დუშანბეს „პამირი", ზაპოროჟიეს „მეტალურგი", ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი", კემეროვოს „კუზბასი", სვერდლოვსკის „ურალმაში", ორჯონიკიძის „სპარტაკი", ლენინგრადის „დინამო", პერმის „ზვეზდა", ხარკოვის „მეტალისტი", ნალჩიკის „სპარტაკი", ფრუნზეს „ალგა", აშხაბადის „კოლხოზჩი", ვორონეჟის „ფაკელი" და პავლოდარის „ტრაქტორი".

ის გუნდები, რომლებიც ტურნირში ბოლო 6 ადგილს დაიკავებენ, მეორე ლიგაში გადავლენ, ხოლო „ვაკანსიებს" შეავსებენ ის კოლექტივები, რომლებიც მეორე ლიგის ექვს ზონაში გაიმარჯვებენ (დადგენილია ამ ზონების შემადგენლობაც). „ფრეთა ლიმიტი" დააწესეს პირველ ლიგაშიც — 12.

საბჭოთა კავშირის 1979 წლის თასის გათამაშება წარიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპში მონაწილეობას მიიღებს 48 გუნდი (უმაღლესი ლიგიდან — 18, პირველი ლიგიდან — 24 და მეორე ლიგიდან — 6). თავდაპირველად სამხრეთის სტადიონებზე, რვა ზონაში (თითოეულში 6 კოლექტივი იქნება) გუნდები ერთ წრედ იასპარეზებენ, გამარჯვებულები კი მეოთხედფინალიდან — მეორე ეტაპიდან განაგრძობენ ბრძოლას, ჩვეულებრივი ოლიმპიური სისტემით. შარშანდელისაგან განსხვავებით მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში გუნდები ორის ნაცვლად თითო შეხვედრას ჩაატარებენ. **განზრახულია, რომ ფინალური მატჩი გაიმართოს 11 აგვისტოს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე.**

(საქდესის კორ.).

სპორტი

### ჭადრაკი

#### საახალწლო ტურნირი

ჰასტინგსის ტრადიციულ საახალწლო ტურნირზე 7 ტურის შემდეგ დაწინაურდა შვედი დიდოსტატი ანდერსონი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს. უკანასკნელ ტურებში აღმავლობით თამაშობს ლენინგრადელი ალექსანდრე კოჩიევი. ბოლო შეხვედრაში მან დაამარცხა ინგლისელი ჯონათან მესტელი და ახლა 4 ქულა აქვს.

#### თბილისის პირველობაზე

**თბილისის** 1979 წლის ჩემპიონატმა, რომელიც ახლა მიმდინარეობს ჭადრაკის სასახლეში, უნდა გამოავლინოს საქართველოს უმაღლესი ლიგის ერთი და პირველი ლიგის ორი მონაწილე. ამიერიდან საქართველოს პირველობა სწორედ უმაღლეს და პირველ ლიგებში ჩატარდება, ისევე, როგორც საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი.

თბილისის პირველობაზე ნათამაშევია 5 ტური. 4-4 ქულით წინ არიან ოსტატი ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები რ. კაპანაძე და გ. გრძელიშვილი.

#### „ბურევესტნიკი" — „პარტიზანი"

**12 იანვარს** მოსკოვში გაიმართება მატჩი ევროპის ჩემპიონატის თასზე ჭადრაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონ „ბურევესტნიკსა" და იუგოსლავიის ჩემპიონ „პარტიზანს" შორის.

„ბურევესტნიკის" შემადგენლობაში ითამაშებენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ვ. სმისლოვი, დიდოსტატები ი. ბალაშოვი, ი. რაზუვაევი, ს. მაკარიჩევი, თ. გიორგაძე, მ. ტაიმანოვი, ა. კოჩიევი.

მეტად ძლიერია ბელგრადის „პარტიზანის" შემადგენლობა. ამ გუნდში ითამაშებენ ს. გლიგორიჩი, მ. მატულოვიჩი, პ. ოსტოიჩი, მ. მილიჩი, ა. რაიჩევიჩი და სხვები.

### ფეხბურთი

#### მენოტი წავიდა!

**არგენტინის ეროვნული გუნდის შანსები — თავისი უმაღლესი ტიტული შეინარჩუნოს 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე — საგრძნობლად შემცირდა. როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, ამის მიზეზი გახლავთ ნაკრების უფროსი მწვრთნელის ლუის სეზარ მენოტის გადადგომა, რაც გამოწვეულია არგენტინული კლუბების ხელმძღვანელებსა და მათ შორის გაუთავებელი დავით.**

**ნაკრებში მუშაობის კონტრაქტი მენოტის 1978 წლის 31 დეკემბერს დაუმთავრდა და მანაც უყოყმანოდ დატოვა პოსტი. მენოტიმ ამთავითვე მიიღო მიწვევა ურუგვაიდან, სადაც ამ ქვეყნის ნაკრების მომზადებას სთხოვენ. მაგრამ ჯერ გაურკვეველია, რა გზას დაადგება სახელგანთქმული მწვრთნელი.**

### კრივი

#### მუჰამედ ალი — საუკეთესო მოკრივე

მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი მუჰამედ ალი კრივის მსოფლიო ასოციაციამ გასული წლის საუკეთესო მოკრივედ დაასახელა. მას შემდეგ, რაც მან ლეონ სპინქსთან შეხვედრა მოიგო, მესამედ დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა კრივის ისტორიაში.

ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კასიუს კლეიმ (ასეთია ალის ნამდვილი სახელი და გვარი) პროფესიულ რინგზე 59 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

ახლახან ალიმ განაცხადა, რომ იგი საბოლოოდ ტოვებს რინგს, მაგრამ რა საქმიანობას მოჰკიდებს ხელს შემდგომში, ჯერ არავინ უწყის.

ერთი შემთხვევის გამო

## როცა ადამიანს უჭირდა

**მოქალაქე** მ. გ. უბედური შემთხვევის შედეგად მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა. დაზარალებული უმალ ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს, გასინჯეს და დაასკვნეს, რომ ტრავმა არცთუ მძიმეა, შეინიშნება თავის ტვინის შერყევის მსუბუქი ფორმა, რომელიც რამდენიმე დღეში გაივლის. დამშვიდებულმა მედიკოსებმა ავადმყოფის ახლობლებიც დაამშვიდეს და დაზარალებული ერთი კვირით საავადმყოფოში მოათავსეს.

გადიოდა დღეები, ავადმყოფი საავადმყოფოდან გამოწერეს, მისი მდგომარეობა კი კვლავ არასახარბიელო იყო. ახლობლები იძულებული გახდნენ ავადმყოფი სასწრაფოდ თბილისში წამოეყვანათ. გონებადაკარგული მ. გ. რკინიგზის სადგურიდან სასწრაფო დახმარების მანქანით რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. აქ იგი ნეიროქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როსტომ შელიას, ნეიროქირურგების ე. ჯალაღონიას, თ. კაკუბერის, ა. ონიანის, ვ. შახნაზაროვის და ზ. მურვანიძის, ნეირორენტგენოლოგის კ. გოქსაძისა და სხვათა გულისხმიერ გარემოცვაში მოხვდა. სასწრაფოდ მოწვეულმა კონსილიუმმა ზუსტი დიაგნოზი დასვა: ავადმყოფს ჰქონდა ქალასშიგნითა სისხლის ტრავმული წარმოშობის ჩაქცევა და საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. ოპერაცია პროფესორმა რ. შელიამ გააკეთა. მეორე დღესვე ავადმყოფს ცნობიერება დაუბრუნდა, ორგანიზმში დაკარგული ფუნქციების აღდგენა მოხერხდა, მალე უკვე გამოჯანმრთელებული ადამიანი საავადმყოფოდან გაწერეს.

ჩვენ ამ წერილში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ორ დიამეტრულად საწინააღმდეგო ფაქტზე. პირველი ეხება იმ ზერელობასა თუ უვიცობას, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს და რომელიც ზუგდიდის საავადმყოფოში მოხდა. მეორე კი განეკუთვნება იმ ოპერატიულობას, საქმის ღრმა ცოდნას, ყურადღებას, რომელიც რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული კლინიკის მედიკოსებმა გამოიჩინეს.

ფიქრობ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე და არ შეიძლება აღტაცებაში არ მოხვიდე იმ გულისხმიერებით და საქმის ცოდნით, რომელიც თბილისელმა ნეიროქირურგებმა გამოიჩინეს.

დიახ, ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე მყოფი მედიცინის დარგის ყველა მუშაკი ყველგან ფხიზლად უნდა იდგეს.

**ფილარ ივარდავა**
პოეტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

## შრომაც, დასვენებაც

**ქობულეთი** (საქ. კორ.). საპატიო ნიშნის ორდენოსან ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ 1976 და 1977 წლებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და მაღალი სამეურნეო შედეგებისათვის ზედიზედ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მეურნეობის მუშებმა 1978 წელსაც შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს — 5.000-ტონიან მიჯნას მიაღწიეს, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ ჰექტარზე 10.500 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ აკლებენ თავდადებულ მშრომელებს, ყოველწლიურად უუმჯობესებენ საყოფაცხოვრებო პირობებს. მარტო შარშან ათობით ოჯახმა მიიღო ახალი ბინა. 46 მუშამ პროფკავშირული საგზურით დაისვენა და იმკურნალა, ხოლო 124 ბავშვმა ზაფხული პიონერთა ბანაკებში დაისვენა. განსაკუთრებით ზრუნავენ მშრომელთა სულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის. საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა იმოგზაურეს ვოლგოგრადში, ნოვოროსიისკში, ერევანში, სოხუმში, ქუთაისში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

## მკითხველები გვწერენ

### ხიდი ცხრაძმურაზე

**ლენინგორი.** № 13 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მშენებლებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს მდინარე ცხრაძმურაზე ხიდის მშენებლობა. ახლა მთის სოფლების ქარჩოხის, უკანა მხარის, ჰალაანის, მიდელაშნის მცხოვრებლები რაიონულ ცენტრში ზამთარ-ზაფხულ მოკლე გზით იმგზავრებენ.

ა. პავლიაშვილი.

### კოლმეურნეები ისვენებენ

**ცაგერი.** წიფერჩის კოლმეურნეობის წევრმა რ. თუთისანმა წელს გაგრაში დაისვენა, ორბელელმა კოლმეურნეებმა მ. ხეცურიანმა, შ. ლიპარტელიანმა და ლ. ბურჯალიანმა სიმონეთის ბალნეოლოგიურ კურორტზე იმკურნალეს, ცაგერის კოლმეურნეობის წევრმა მ. საღინაძემ — უწერაში, ზოგიერთი კისლოვოდსკში, ურეკში და გუდაუთაში იყვნენ.

შარშან რაიონის 52 კოლმეურნე სანატორიუმში ისვენებდა, 72 — პანსიონატში, ხოლო 6 — დასასვენებელ სახლებში.

ც. რაჟდენიძე.

### მექანიკური სახელოსნო

**სოხუმი.** ახლახან საქალმავლო დეპოს ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე ტიპის მექანიკური სახელოსნო, რომლის ფართობი 800 კვადრატული მეტრია. აქ მოთავსებული სახარატო, საზეინკლო, სამჭედლო და ელექტროსაამქროები აღჭურვილია ახალი მანქანა-დანადგარებითა და თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობით. აქვეა საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებები.

ა. კუპრეიშვილი.

### სოფლის სიახლეები

**ხობი.** დღითი დღე შენდება ძველი ხიბული. ახლახან კოლმეურნეობის სახსრებით აშენდა წყლის წისქვილი, საჭანიოს უბანში — მაღაზია, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობის ტერიტორიაზე გაიხსნა ახალი ბუფეტი.

რ. ქაჯაია.

საქართველოს მთა-ბარში

### ტელევიზია

### 6 იანვარი

#### პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ლეონიდ სობინოვი", 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფერადი), 10.30 — თქვენთვის, მშობლებო! (მოსკოვიდან), 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ხევსურული ბალადა", 12.25 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 13.00— ნაძვის ხის ზეიმი, 14.25 — მუსიკალური აბონემენტი „მღერის მაყვალა ქასრაშვილი" (მოსკოვიდან), 15.00 — ვერნისაჟი (ფერადი), 15.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 მულტიპლიკაციური ფილმი „ორი ლეკვის ამბავი" (მე-10, მე-11, მე-12, მე-13 სერია), 17.25 — ავსტრალიური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „სკიპი". პრემიერა მე-9, მე-10 და მე-11 სერია (მოსკოვიდან), 18.40—მნიშვნელოვანი ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, 19.00 — კინოპროგრამა, 19.30 — მუსიკალური ზუგდიდი (ფერადი. განმეორებით), 20.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კუჩხი ბედინერი" (ფერადი), 21.00 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. (გადმოცემა ზაპოროჟიედან), 23.20— სატელევიზიო ფილმი — კონცერტი „მღერის ალა პუგაჩოვა" (მოსკოვიდან).

### თეატრი

### 6 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი** (დღისით); **მოახლე ქალბატონი, სოფლის პატიოსნება** (საღამოს, V აბონ. V წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მე, ბებია, ილიკო და ილარიონი** (დღისით), **კავკასიური ცარცის წრე** (საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ძველი ვალსი** (დღისით და საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სათაგური** (დღისით), **ყარამანს ქალი მოჰყავს** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ეშმაკის კუდი**; კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — **ახალგაზრდა გვარდიის სახელით.**

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მეუღლე

**თამარ გრიგოლის ასული ლორთქიფანიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, პერსონალური პენსიონერი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, მებაღეობისა და მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი აგრონომი

**პეტრე დანიელის ძე მახარაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**კომუნისტი**
ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის განყოფილების — 93-95-98, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების—99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54.